პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მუშათა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი
№ 161 (10555)

პარასკევი, 13 ივლისი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

ხალხის ინტერესებისათვის

გუშინ მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ.

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო განიხილავს საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებს. გუშინ ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე მოხსენება სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტის შესახებ გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ა. ბულგანინმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარდგენილი პროექტი კანონისა გამოხატავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის. პენსიით უზრუნველყოფის გადაჭრით გაუმჯობესება ერთ-ერთია იმ ღონისძიებათაგან, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს და ერთსულოვნად მიიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ და რომელთა მიზანია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. ეს ღონისძიებები შესაძლებელი გახდა სახოგადოებრივი წარმოების ყველა დარგის განუხრელი და მტკიცე ზრდის შედეგად, რაც მიღწეულია ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის თანმიმდევრული განხორციელების საფუძველზე.

ახორციელებს რა XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ხალხი ახალ და ახალ წარმატებებს აღწევს დიად კომუნისტურ მშენებლობაში.

სოციალისტურმა მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა წლის პირველი ნახევრის გეგმა. გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა 12 პროცენტით გადიდდა. სულ უფრო საგრძნობ და რეალურ შედეგებს იძლევიან სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ღონისძიებანი, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ნათესი ფართობი შეადგენს 194 მილიონ ჰექტარზე მეტს — 37 მილიონი ჰექტარით მეტს, ვიდრე 1953 წელს. 14,5 მილიონი ჰექტარით გადიდდა 1953 წელთან შედარებით ხორბლის ნათესები, 20 მილიონი ჰექტარით — სიმინდის ნათესები. შესამჩნევად ვითარდება მეცხოველეობა. მაგალითად, საკმარისია ითქვას, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დამზადებული და შესყიდულია რძე 38 პროცენტით, ხორცი 23 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში.

აყენებს რა ყველაზე მაღლა ხალხის ინტერესებს, ზრუნავს რა მისი აყვავებისა და მშვიდობიანი არსებობისათვის, საბჭოთა მთავრობა მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის განმტკიცებას. იზრდება და მტკიცდება ძმური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება სოციალისტურ ქვეყნებს შორის, ფართოვდება ურთიერთსასარგებლო ეკონომიური და კულტურული კავშირი ყველა ქვეყანას შორის. ყველაფერი ეს ქმნის სოციალისტური დემოკრატიის აყვავების, კომუნიზმის მატერიალურ-საწარმოო ბაზის ზრდისა და სრულყოფის, მშრომელთა ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების ახალ ხელსაყრელ პირობებს.

უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარმოდგენილი პროექტი სახელმწიფო პენსიების კანონის შესახებ მოასწავებს ახალ წინგადადგმულ დიდ ნაბიჯს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაზე. მოხუცებულობაში და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში უზრუნველყოფის უფლება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მონაპოვარია, რომელიც კანონმდებლობის წესით განმტკიცებულია სსრ კავშირის კონსტიტუციაში. მაგრამ ამჟამად მოქმედ დებულებას პენსიების შესახებ დიდი ნაკლოვანებები აქვს და თავის მნიშვნელოვან ნაწილში მოძველდა.

კანონის პროექტით გათვალისწინებულია სერიოზულად გადიდდეს დაბალი თანრიგების პენსიები, ამავე დროს აღმოიფხვრას ზედმეტობა მთელი რიგი კატეგორიების მუშაკთა პენსიით უზრუნველყოფაში. თვითეული მუშაკისათვის, რომელიც პენსიას იღებს, ახლა გარანტირებულია მატერიალური უზრუნველყოფის გარკვეული მინიმუმი. მუშა და მოსამსახურე, რომელიც პენსიაზე გადადის, როგორც წესი, მიიღებს თავისი წინანდელი ხელფასის 50-100 პროცენტს. ახალი კანონის პროექტის ამ დებულებებს არ შეუძლია არ გამოიწვიოს საბჭოთა ადამიანის გულში დიდი პატრიოტული სიამაყის გრძნობა: შრომისუნარამოკლებულ ადამიანთა ასეთი უზრუნველყოფა, ამ სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი საკითხისადმი ასეთი სამართლიანი მიდგომა არ არის და არც შეიძლება იყოს არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში!

პენსიების კანონის პროექტი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანოების დიდი კოლექტიური მუშაობის შედეგია. ეს პროექტი ყოველმხრივ და საფუძვლიანად განიხილეს მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის კრებებზე, იგი ერთსულოვნად მოიწონა მთელმა ხალხმა და მხარი დაუჭირა მას.

თავისთავად იგულისხმება, რომ ახალი კანონის განხორციელება მოითხოვს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ამ ორგანოების მუშაკები უფრო გულისხმიერად ეპყრობოდნენ მშრომელთა საჭიროებასა და მოთხოვნილებებს, უფრო სწრაფად და გულდასმით განიხილავდნენ მათს განცხადებებს, კულტურულად, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, უწევდნენ მომსახურებას პენსიონერებს.

პენსიების დანიშვნისა და გაცემის ახალი წესი გამოიწვევს სახელმწიფო სახსრების მნიშვნელოვან დამატებითს ხარჯვას — დაახლოებით 12,6 მილიარდ მანეთს წელიწადში. ამ მიზნისათვის გამოყენებული იქნება სახალხო მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის, მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელების, სხვადასხვა ზედმეტობის ლიკვიდაციის, ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შემდგომი შემცირების შედეგად დაგროვებული სახსრების ნაწილი.

პენსიების კანონი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აქტია. იგი კვლავ და კვლავ თვალნათლივ ადასტურებს საბჭოთა წყობილების დიდ უპირატესობას, ნამდვილ ხალხურობას. კანონის თვითეული მუხლი დამაჯერებლად და დასაბუთებულად მოწმობს, რომ ხალხისადმი სამსახური, მისი კეთილდღეობისათვის დაუცხრომელი ზრუნვა უმაღლესი კანონია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისათვის.

„პრავდის“ 12/VII მოწინავე.

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ამ დღეებში მოსკოვში ჩამოვიდა იტალიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრის ჯანკარლო პაიეტას და კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრების ჩელესტე ნეგარვილესა და ჯაკომო პელეგრინის შემადგენლობით.

11 ივლისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ბ. პოსპელოვმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ბ. ნ. პონომარიოვმა მიიღეს იტალიის კომპარტიის დელეგაცია და ხანგრძლივი მეგობრული საუბარი ჰქონდათ მასთან. მოხდა აზრთა ურთიერთ გაზიარება ორი პარტიის პოლიტიკის შესახებ, მუშათა მოძრაობის მდგომარეობისა და თანამედროვე პრობლემების შესახებ.

საუბარმა გულითადობის ვითარებაში, ორი მოძმე პარტიის გულწრფელი მეგობრობისა და ურთიერთნდობის სულისკვეთებით ჩაიარა. (საკდესი).

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ივლისის პირველ დეკადაში სულ რესპუბლიკაში მოკრეფილია 5.937,5 ტონა ჩაის ფოთოლი, ხოლო სულ სეზონის დაწყებიდან — 51.044,7 ტონა. ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია 43,3 პროცენტით, ივლისის კი 16,3 პროცენტით.

ბათუმის რაიონში ჩაის ფოთლის კრეფის ივლისის დავალება შესრულებულია 24.8, ქობულეთის — 17.2, გალის — 18.8, ოჩამჩირის — 16,1, გულრიფშის — 37,7, სოხუმის — 10,2, გუდაუთის — 4,8, მახარაძის — 13,7, ჩოხატაურის — 26,1, ლანჩხუთის — 13,7, სამტრედიის — 22,2, წულუკიძის — 14,9, ქუთაისის — 12,5, წყალტუბოს — 27,5, ტყიბულის — 6.6, ცხაკაიას — 11,2, აბაშის — 14,9, გეგეჭკორის — 17,5, ზუგდიდის — 15,8, წალენჯიხის — 14,3, ჩხოროწყუს — 24,7, ხობის — 16.9, თერჯოლის — 46,8, ზესტაფონის რაიონში — 41,4 პროცენტით.

საბჭოთა კავშირ-კორეის ერთობლივი კომუნიკე

საბჭოთა მთავრობასა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკებების შესახებ

1956 წლის 6-დან 12 ივლისამდე საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში იმყოფებოდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის ამხანაგ კიმ ირ სენის მეთაურობით. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მოსკოვში ყოფნის დროს გაიმართა საბჭოთა კავშირ-კორეის მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა, სსრ კავშირის საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ნ. კ. ბაიბაკოვმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ბ. ნ. პონომარიოვმა. მოლაპარაკებას აგრეთვე დაესწრნენ სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიური კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პ. ვ. ნიკიტინი, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი კ. ი. კოვალი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვ. ი. ივანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ი. ფ. კურდიუკოვი.

კორეის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ კიმ ირ სენმა, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ პაკ დენ აიმ, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნამ ირმა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ლი ჯონ ოკმა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ლი სან ჩომ.

მოლაპარაკების დროს, რომელიც გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა, გაიმართა აზრთა ფართო და გულახდილი გაზიარება საბჭოთა კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საკითხებზე, აგრეთვე დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს.

ერთსულოვნად აღინიშნა ხაზგასმით, რომ შემდგომი გაფართოება სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველმხრივი მეგობრული ურთიერთობისა, რომელიც წარმატებით ვითარდება, შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს და ხელს უწყობს საყოველთაო მშვიდობისა და, კერძოდ, შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას. დადასტურდა შეხედულებათა სრული ერთიანობა დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების შეფასებაში.

ორივე მხარემ ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი მისწრაფება განაგრძონ თანამშრომლობა თავიანთი ხალხების ინტერესებისათვის, აგრეთვე მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის. ისინი დარწმუნებული არიან, რომ მათი ღონისძიებანი სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ღონისძიებებთან შეხამებით ხელს შეუწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

დადასტურებულ იქნა, რომ საბჭოთა კავშირის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების ინიციატივა თავიანთი შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხში წვლილია მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

ორივე მხარე კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ორივე ქვეყანა დადებამ სერიოზული როლი შეასრულა აზიასა და მთელ მსოფლიოში საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, და აცხადებენ, რომ ისინი ყველა მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად მიიღებენ შემდგომ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგება, კორეაში დაზავების გადაქცევა მტკიცე მშვიდობად. ემყარებიან რა იმას, რომ კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებით დაინტერესებული არიან არა მარტო კორეისა და მისი მეზობელი ქვეყნების ხალხები, მხარეები მხარს უჭერენ იდეას, რომ მოწვეულ იქნას დაინტერესებული ქვეყნების საერთაშორისო თათბირი კორეის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და კორეის ტერიტორიიდან უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანის საკითხებზე.

ორივე მხარემ აზრები გაუზიარა ერთმანეთს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იღებდა სამხრეთ კორეასთან საქმიანი, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობების გაფართოების, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის თავისუფალი მიმოსვლის ნების დართვის მიზნით. ორივე მხარე მწუხარებით აღნიშნავს, რომ ამ ღონისძიებებმა ჯერჯერობით სათანადო გაგება ვერ ჰპოვა სამხრეთ კორეის ხელისუფალთა მხრივ. საბჭოთა კავშირის მთავრობასა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნიათ, რომ უშუალო კონტაქტების დამყარება და ეკონომიური, კულტურული და სხვა ურთიერთობის მოგვარება კორეის ორივე ნაწილს შორის ხელს შეუწყობდა კორეის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის რეალური პირობების შექმნას.

მოლაპარაკების მსვლელობაში განხილულ იქნა აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების საკითხები. გათვალისწინებულია გადიდდეს საბჭოთა კავშირიდან მასალებისა და მოწყობილობის მიწოდება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის, აგრეთვე სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლისა მოსახლეობისათვის. კერძოდ, ხელი შეეწყობა ხინამის მინერალური სასუქების ქარხნის საწარმოო სიმძლავრეთა გაფართოებას, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

ნაგულისხმევია, რომ დამატებით მიწოდებათა მნიშვნელოვანი ნაწილი განხორციელდება ძმური დახმარების გაწევის წესით.

საბჭოთა კავშირის მთავრობა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ორივე ქვეყანას შორის დამყარდა მჭიდრო კულტურული და მეცნიერული ურთიერთობა. ორივე მხარე კვლავაც წაახალისებს ყოველმხრივ კულტურულ გაცვლას ორ სახელმწიფოს შორის და ამ მიზნით შეთანხმდნენ უახლოეს დროში დადონ შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

სსრ კავშირის მთავრობა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დარწმუნებული არიან, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის ჩამოსვლა სსრ კავშირში და მოლაპარაკება მოსკოვში ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს შორის თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებას პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში და ახალი წვლილი იქნება შორეული აღმოსავლეთის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

მოსკოვი, 1956 წლის 12 ივლისი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის მთავრობისაგან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისაგან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე კიმ ირ სენი

ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

12 ივლისს დღისით მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-კორეის ერთობლივ კომუნიკეს საბჭოთა მთავრობასა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკების შესახებ.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ კომუნიკეს ხელი მოაწერა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ კიმ ირ სენმა, საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა.

ხელმოწერას დაესწრნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრები: კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პაკ დენ აი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ნამ ირი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ლი სან ჩო, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ლი ჯონ ოკი, კორეის დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კო ჯუნ თხეკი, პარტია „ჩენუდანის“ ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კიმ ბენ ჯე, ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი ცოი ხენი, კიმ ჩაკის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი ჩო გიმ სონი, შრომის გმირი ხან გი ჩანი, შრომის გმირი ჯენ სენ ბოკი.

საბჭოთა კავშირის მხრივ ხელმოწერას დაესწრნენ ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. კირიჩენკო, გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ნ. ი. ბულეიკევი, პ. ნ. პოსპელოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომკომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პ. ვ. ნიკიტინი, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი კ. ი. კოვალი, სსრ კავშირის ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვ. ი. ივანოვი, აგრეთვე სხვა ოფიციალური პირები და პრესის წარმომადგენლები. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობს სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია. 12 ივლისს დილის 9 საათზე გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს სხდომა. თავმჯდომარე — ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ე. ავხიმოვიჩი** სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტის შესახებ თანამოხსენებისათვის სიტყვას აძლევს ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **მ. ა. გედვილასს.**

მომხსენებელი ამბობს, რომ საბჭოთა ქვეყნის მშრომელები დიდი აღმავლობით შეხვდნენ სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტს. საბჭოთა ადამიანებს კანონის პროექტი მიაჩნიათ ხალხის კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ახალ გამოვლინებად. ამხ. გედვილასი აღნიშნავს, რომ კანონპროექტის განხილვის შედეგად ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისია ერთსულოვნად უჭერს მხარს კანონის პროექტს.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, კერძოდ საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებში, ამბობს ორატორი, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვა ცენტრალურ ორგანოებში მშრომელთა 12 ათასზე მეტი წერილი შემოვიდა. წერილები შეიცავენ კანონის პროექტის მოწონებას და კონკრეტულ წინადადებებს მისი ცალკეული მუხლების ცვლილებათა და დამატებათა შესახებ.

დეპუტატი გედვილასი აკეთებს შენიშვნებს სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტის იმ მუხლების გამო, რომლებსაც, კომისიის აზრით, ცვლილება და დამატება ესაჭიროებათ. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ კანონში განსაზღვრული უნდა იყოს პენსიის დანიშვნის წესის საკითხი, საჭიროა დადგენილ იქნას, რომ პენსია ინიშნება არა სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების თანამდებობის პირთა ერთიროვნული განკარგულებით, არამედ სპეციალური კომისიების მიერ, რომლებსაც ქმნიან მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები.

დეპუტატ გედვილასის თანამოხსენების შემდეგ ეროვნებათა საბჭო იწყებს სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტის განხილვას.

გამოდის დეპუტატი **ო. ი. ივაშჩენკო** (უკრაინის სსრ).

სახელმწიფო პენსიების ახალი კანონის პროექტი, თქვა მან, ძირეულად აუმჯობესებს პენსიით უზრუნველყოფას ჩვენს ქვეყანაში და მოწმობს ხალხის კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის ახალ გამოვლინებას. ორატორს მოჰყავს მონაცემები, რომლებიც მოწმობენ, რომ ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების ზრდა საშუალებას იძლევა წლითიწლობით გავადიდოთ ასიგნობანი სოციალური უზრუნველყოფისათვის.

დასასრულ დეპუტატ ივაშჩენკოს წინადადება შეაქვს მიღებულ იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შეტანილი სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტი საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის დამატებებით.

დეპუტატმა **ზ. ნ. ნურიევმა** თავის გამოსვლაში თქვა, რომ ბაშკირეთის მშრომელები იწონებენ ახალი კანონის პროექტს. ბაშკირეთის მშრომელები, განაგრძობს ორატორი, გადიდებულ შრომითს ვალდებულებებს კისრულობენ, რადგან კარგად იციან, რომ სწორედ შრომის ნაყოფიერების ზრდა და სახალხო-სამეურნეო გეგმების გადაჭარბებით შესრულება არის ჩვენი ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის შემდგომი ზრდის, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების საიმედო საფუძველი.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ნ. დოდხუდოევს** (ტაჯიკეთის სსრ). სახელმწიფო პენსიების ახალი კანონის პროექტი, თქვა მან, იმის კიდევ ერთ-ერთი მკაფიო დადასტურებაა, რომ პარტია და მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებენ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. რომელთა მიზანია საბჭოთა ხალხის ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესება. მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარების მაღალი ტემპები, რომლებსაც ითვალისწინებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები, კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ძლიერებას, შექმნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი ზრდის პირობებს.

გამოდის დეპუტატი **ტ. ს. გორბუნოვი** (ბელორუსიის სსრ). ბელორუსი ხალხი დიდად აფასებს ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელთა დაუცხრომელ ენერგიასა და სიბრძნეს. ბელორუსიის ქალაქებში, მუშათა დაბებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში მასების დიდი შემოქმედებითი აქტივობა ვითარდება პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების რაც შეიძლება მალე განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ამხ. გორბუნოვი მოუთხრობს სხდომას, თუ რა გაკეთდა რესპუბლიკაში პენსიონერთა მომსახურების გასაუმჯობესებლად.

დასასრულ ორატორი მოითხოვს, რომ მოწონებულ იქნას სახელმწიფო პენსიების კანონი.

რუსეთის სფსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა **ს. ვ. კურაშოვმა** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის განუხრელი გაუმჯობესების შედეგად ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით უმჯობესდება მოსახლეობის ჯანმრთელობა.

შეეხო რა შემდეგ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ამოცანებს ახალი კანონის მიღებასთან დაკავშირებით, ამხ. კურაშოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები, ამბობს იგი, სუსტად იყენებენ ისეთ საამკურნალო-პროფილაქტიკურ საშუალებებს, როგორიც არის მშრომელთა შრომისა და დასვენების სწორი რეჟიმის მოწყობა. ამ საკითხებს უფრო სერიოზული ყურადღება უნდა მიაქცინონ შრომის დაცვისა და უსაშიშროების ტექნიკის მუშაკებმა, პროფკავშირებმა და საწარმოთა ხელმძღვანელებმა.

დეპუტატმა **ტ. ა. ტაიროვამ** (აზერბაიჯანის სსრ) მოიყვანა რესპუბლიკის მშრომელთა მთელი რიგი მოსაზრებანი. ისინი იწონებენ პენსიების კანონის პროექტს. პარტიისა და მთავრობის ზრუნვას საბჭოთა ადამიანები ახალი შრომითი გამარჯვებებით უპასუხებენ. აზერბაიჯანის მენავთობეებმა ვადაზე ადრე შეასრულეს ნავთობის ამოღების ნახევარი წლის გეგმა და დამატებით ბისცეს ჩვენს ქვეყანას 55 ათასი ტონა საწვავი.

ამხ. ტაიროვას წინადადება შეაქვს მუშა ქალებისათვის მოხუცებულობის პენსია დაწესდეს არა 55 წლიდან, არამედ 50 წლიდან და რომ 1-ლი და მე-2 ჯგუფის ინვალიდობის პენსიის ოდენობა მოხუცებულობის პენსიაზე ნაკლები არ იყოს.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ე. ი. პალდინიას** (ლატვიის სსრ). ილაპარაკა რა, რომ საბჭოთა ლატვიის მშრომელები მხურვალედ იწონებენ პენსიების კანონის პროექტს, ამხ. პალდინიამ აღნიშნა, რომ პარტიისა და მთავრობის ზრუნვა საბჭოთა ხალხისათვის განსაკუთრებით კარგად ესმის ლატვიელ ხალხს, რომელიც დიდხანს იმყოფებოდა ბურჟუაზიის უღელქვეშ.

შემდეგ დეპუტატი პალდინია შეეხო სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების ამოცანებს, ორგანოებისა, რომლებმაც 1 ოქტომბრამდე უნდა მოახდინონ ყველა იმ პენსიის გადაანგარიშება, რომლებიც ახლა ეძლევათ პენსიონერებს, და თავის დროზე დაუნიშნონ პენსია იმათ, ვინც მოიპოვებს

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲨᲐᲰᲘᲜᲨᲐᲰᲘ ᲛᲝᲰᲐᲛᲔᲓ ᲠᲔᲖᲐ ᲤᲔᲰᲚᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ ᲡᲝᲠᲔᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲜᲔᲜ

12 ივლისს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრნენ მისი უდიდებულესობა ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და მისი უდიდებულესობა დედოფალი სორეია ფეჰლევი. მათთან ერთად მოსკოვიდან გაემგზავრნენ ირანის ვაჭრობის მინისტრი იბრაჰიმ ქაშანი, სენატორი მოჰამედ საედი, შაჰის გენერალ-ადიუტანტი კორპუსის გენერალი იაზდან-ფანაჰი, შაჰის კარის მთავარი ცერემონმეისტერი მოჰსენ კარაგოზლუ, სენატორი, კორპუსის გენერალი ჯაჰანბანი, დივიზიის გენერალი აიადი, მეჯლისის დეპუტატი თეირანის უნივერსიტეტის პროფესორი ჰამიდ ახი, კარის ეგერმეისტერი აბოლფათჰ ათაბე, შაჰის სამოქალაქო ადიუტანტი არდეშირ ზაჰედი, შაჰის გვარდიის უფროსი ბრიგადის გენერალი ნემათოლა ნასირი, მისი უდიდებულესობის დედოფლის თანმხლები სეფექალები ქ-ნი ალამი, ქ-ნი იაზდან ფანაჰი, ქ-ნი ჰაიდე კარაგოზლუ და სხვა პირები. მოსკოვიდან გაემგზავრნენ აგრეთვე სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანში ა. ი. ლავრენტიევი, ირანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ა. მასუდ-ანსარი.

ირანის სახელმწიფოს მეთაურს ბაქომდე მიაცილებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი და არმიის გენერალი ვ. ვ. კურასოვი.

...სპატიო სტუმრების მთელ გზაზე რეზიდენციიდან დედაქალაქის ცენტრალურ აეროდრომამდე გამოფენილი იყო ირანისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმები, ქსოვილები წარწერებით სპარსულ და რუსულ ენებზე: „დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს სსრ კავშირისა და ირანის კეთილმეზობლური ურთიერთობა!“ „გაუმარჯოს ორი მეზობელი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირისა და ირანის ხალხთა მეგობრობას!“

10 საათისათვის სპატიო სტუმრების გასაცილებლად აეროდრომზე მოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი მეუღლითურთ, ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, გ. მ. მალენკოვი, მ. გ. პერეგუდინი, გ. კ. ჟუკოვი, დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები მ. პ. ტარასოვი და კ. მ. ოზოლინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. თ. თევოსიანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის მინისტრები პ. ი. ანტროპოვი, ბ. პ. ბეშჩევი, ნ. პ. დუდოროვი, მ. ა. ევსეევკო, ვ. პ. ელიუტინი, ი. გ. კაბანოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი, ავიაციის მთავარი მარშალი პ. ფ. ჟიგარიოვი, არმიის გენერალი მ. ს. მალინინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე გ. ტ. ზაიცევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, სსრ კავშირის ევროპული ნაწილისა და ციმბირის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარე მუფთი შ. ხიანლიტდინოვი, მოსკოვის მეჩითის იმამი ა. მუსტაფინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

აეროდრომზე იყვნენ მოსკოვში ირანის საელჩოს შემადგენლობა და სსრ კავშირში აკრედიტებული საელჩოთა და მისიათა მეთაურები.

მისმა უდიდებულესობამ ირანის შაჰინშაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ მიიღო საპატიო ყარაულის უფროსის პატაკი. ელერს ირანისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. შაჰინშაჰი მიდის მიკროფონთან და ამბობს სიტყვას:

— თქვენო აღმატებულებავ პრეზიდენტო! ჩემი სურვილია დედოფლის სახელით და ჩემი სახელით მადლობა გადაგიხადოთ იმ გულთბილი მიღებისათვის, რომელიც თქვენ გაგვიწიეთ, აგრეთვე იმ გულწრფელი გრძნობებისათვის, რომლებიც ჩვენდამი გამოიჩინეთ.

გულწრფელად გილოცავთ იმ დიდ წარმატებებს, რომლებიც თქვენ გაქვთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში და ვაცხადებ ჩემს საუკეთესო სურვილს, რომ გაგრძელდეს ეს პროგრესი და წინსვლა. ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ ძალიან კარგი მეგობრები და მეზობლები და ვიაროთ წინ საზოგადოების განვითარებისა და პროგრესის გზით, ვიცხოვროთ მშვიდობიანად და მივაღწიოთ ჩვენს მიზნებს.

იმედი მაქვს, რომ შეეძლება ზუსტად გადავცე თქვენი გრძნობები და თქვენი გულწრფელი მოპყრობა ჩვენდამი, ჩვენი ხალხისადმი, აგრეთვე გადმოგცეთ ჩვენი ხალხისაგან იგივე გრძნობები თქვენდამი.

ნახვამდის, და კიდევ გიძღვნით მადლობას თავაზიანობისა და მიღებისათვის, რომელიც ჩვენ გაგვიწიეთ.

საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები გულთბილად ეთხოვებიან ირანის შაჰინშაჰს მოჰამედ რეზა ფეჰლევის, დედოფალ სორეია ფეჰლევის, მათი ამალის წევრებს და ბედნიერ მგზავრობას უსურვებენ მათ.

10 საათსა და 20 წუთზე თვითმფრინავი, რომელშიც საპატიო სტუმრები არიან, ჰაერში ადის და სამხრეთისაკენ იღებს კურსს. (საკდესი).

ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ — ᲓᲐᲜᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ

12 ივლისი

ᲥᲔᲓᲘᲡ ᲛᲢᲡ-ᲨᲘ

გ. თინაშვილი კარგად ამუშავებს „სტალინეც-6“ მარკის კომბაინს. მან ქვემო ქედის კოლმეურნეობაში პურეულის მოსავალი აიღო 30 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა. თვითეულ ჰექტარზე გალეწა 20 ცენტნერი ხორბალი. გ. თინაშვილის კომბაინის აგრეგატის კოლექტივმა სამდღენაზეგარში თავთავიანი კულტურების მოსავალი აიღო 110 ჰექტარზე.

ი. უძილაურმა ამავე სოფლის კოლმეურნეობაში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით პურეულის მოსავალი მომკა 24 ჰექტარზე და ამით დღიურ ნორმას 14 ჰექტარით გადაჭარბა. იგი თვითეულ ჰექტარზე ლეწავს 22 ცენტნერ მარცვლეულს.

შ. პატაშურმა „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით არხილოსკალოს კოლმეურნეობაში პურეულის მოსავალი აიღო 20 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა. იგი თვითეულ ჰექტარზე ლეწავს 21 ცენტნერ მარცვლეულს.

ᲨᲘᲠᲐᲙᲘᲡ ᲛᲢᲡ-ᲨᲘ

ნ. ზაგაევმა სოფელ ზემოქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში თავთავიანი კულტურების მოსავალი აიღო 18 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა, თვითეულ ჰექტარზე გალეწა 25 ცენტნერი მარცვლეული.

ვ. ბექაური „სტალინეც-6“ მარკის კომბაინს ამუშავებს ამავე სოფლის კოლმეურნეობაში. მან პურეული მომკა 20 ჰექტარზე და ამით დღიურ ნორმას 10 ჰექტარით გადაჭარბა, თვითეულ ჰექტარზე გალეწა 19 ცენტნერი მარცვლეული.

ი. ქიმოსტელმა ამავე სოფლის კოლმეურნეობაში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მოსავალი აიღო 20 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა, თვითეულ ჰექტარზე გალეწა 18 ცენტნერი ხორბალი.

ᲐᲕᲢᲝᲛᲫᲦᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

შეუფერხებლად გადავზიდოთ მარცვლეული

Ა. ᲛᲐᲛᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

• • •

მე ახალგაზრდა ავტომძღოლი ვარ, მაგრამ პურის გადაზიდვაზე მუშაობის რამდენიმე წლის გამოცდილება მაქვს. შარშან და შარშანწინ ამ საქმის კარგად მოწყობისათვის კოლმეურნეობის გამგეობის ქება დავიმსახურე.

ამჟამად ჩვენს წინაშე დასახულია უდიდესი ამოცანა — პურეულის უხვი მოსავალი სწრაფად, უდანაკარგოდ ავიღოთ და თავის დროზე, ორგანიზებულად გადავზიდოთ სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტებსა და საკოლმეურნეო ბეღლებში. კარგად მაქვს გათვალისწინებული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტის შეუფერხებელ მუშაობას, თვითეული ავტომანქანის სრული ნაყოფიერებით გამოყენებას. ამ მიზნით ვებმები სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჩემი პირობაა პურის გადაზიდვა კალოდან დამამზადებელ პუნქტამდე რვა სამუშაო დღეში დავამთავრო და არ დავუშვა დანაკარგები, მტკიცედ დავიცვა გადაზიდვის გრაფიკი.

როგორია ჩემი მუშაობის პირველი შედეგები? რამდენიმე დღეა ვეზიდები პურს კოლმეურნეობის კალოდან „ზაგოტზერნოს“ ბადიაურის პუნქტამდე — 25 კილომეტრზე. ყოველდღიურ დავალებს ორმაგად ვასრულებ —ექვსის ნაცვლად ვაკეთებ 12 რეისს და გადამაქვს 30 ტონა პური.

დროული პროფილაქტიკა და კარგად დაყენებული ტექმოვლა საშუალებას მაძლევს მინიმუმამდე დავიყვანო მანქანის მოცდენისა და იძულებითი გაჩერების შემთხვევები. დილით რეისში გასვლამდე ერთი საათით ადრე გულდასმით ვამოწმებ, ვზეთავ მანქანის ნაწილებს, ვიმარაგებ საჭირო საწვავს. სვლის დროს ვიცავ დაწესებულ სიჩქარეს, ვატარებ გამაფრთხილებელ ღონისძიებებს.

ორგანიზებულად მაქვს მოწყობილი კალოზე ავტომანქანის დატვირთვისა და დამამზადებელ პუნქტში გადმოტვირთვის სამუშაოები.

ნაკისრ ვალდებულებას პირნათლად შევასრულებ — რვა სამუშაო დღეში გავანაღდებ კალოდან დამამზადებელ პუნქტამდე პურის გადაზიდვის დავალებას. სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ ჩვენი კოლმეურნეობის ავტომძღოლს გ. მოსულიშვილს.

Ა. ᲛᲐᲛᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

კაჭრეთის რაიონის სოფელ არაშენდის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის ავტომძღოლი.

ᲒᲐᲖᲔᲗᲗᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲤᲔᲘᲥᲠᲝ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

გორის საწარმოთა კოლექტივებს მოძმე რესპუბლიკების ქალაქების მშრომელებთან შემოქმედებითი თანამეგობრობის კარგი ტრადიცია აქვთ. გორელი მეკონსერვეები წლების მანძილზე ეჯიბრებიან უკრაინის სსრ ხერსონისა და სომხეთის სსრ ჰოტკემბერიანის საკონსერვო ქარხნების კოლექტივებს, გორული რკინიგზელები — ულიანოვსკელ რკინიგზელებს, ხოლო შპალსაყენებთი ქარხნის მშრომელები — ტახორეცკელ თანამოძმეებს.

მოძმე რესპუბლიკების მშრომელებთან საწარმოო თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცების მკაფიო მაგალითია გორის ყველაზე დიდი საწარმოს — ბამბეულის კომბინატის კოლექტივის შეჯიბრება ხერსონულ და ლენინაკანელ ფეიქრებთან. უკვე მეორე წელია, რაც გორელები ეჯიბრებიან ლენინაკანელ ფეიქრებს, ხოლო ხერსონელებთან შეჯიბრება მიმდინარე წელს გაჩაღება. შეჯიბრება გორის ბამბეულის კომბინატის ფეიქრების ინიციატივით დაიწყო. მათ მიმართეს გაუგზავნეს ხერსონელ მეგობრებს. პასუხიც მალე მოვიდა.

გორის საქალაქო გაზეთმა „სტალინელმა“ გამოაქვეყნა მასალები უკრაინელ და ყირთველ ფეიქართა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. გაზეთმა დაბეჭდა ხერსონის ბამბეულის კომბინატის დირექტორის ნ. კოსტროვსკის, პარტიბიურომის მდივნის ვ. კიბალნიკის, სფფბრიკო კომიტეტის თავმჯდომარის ვ. კოპელოვას სპასუხო წერილი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე და წარმატებით შესრულებისათვის ხერსონელ ფეიქართა ვალდებულების შესახებ. ხერსონელები იუწყებიან, რომ მიმდინარე წლის დაგალებას ისინი 15 დეკემბრისათვის შეასრულებენ და წლიური გეგმის გადამეტებით 125 ტონა ნართის, 500 ათას მეტრ ხამ ქსოვილს გამოუშვებენ, გასწევენ 28 ტონა ბამბისა და 2 ტონა ნართის ეკონომიას, 101 პროცენტით შეასრულებენ შრომის ნაყოფიერების ამაღლების გეგმას. ამასთან ხერსონელები კისრულობენ ნედლეულისა და მასალების ეკონომიის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და მანქანადანადგარების წარმადობის გადიდების გზით პროდუქციის თვითღირებულება 1956 წლის გეგმასთან შედარებით შეამცირონ 0,5 პროცენტით.

გაზეთში დაბეჭდილია აგრეთვე გორის ბამბეულის კომბინატის მოწინავე მქსოველის ლ. მარგველაშვილის და ქსოვილის მბეჭდავის თინა შემშის ი. კვარიანთაშვილის წერილები იმის შესახებ, თუ რა ვალდებულებები აკისრეს მათ ხერსონელებთან შეჯიბრებაში. გაზეთი იუწყება, რომ ორი მოძმე რესპუბლიკის ფეიქრები თავდადებით იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის, სულ უფრო ადიდებენ ქსოვილის წარმოებას, აფართოებენ პროდუქციის ასორტიმენტს, აუმჯობესებენ მის ხარისხს.

ᲠᲐᲘᲝᲜᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲨᲘ

მევენახეობის, მემინდვრეობის, მეცხოველეობის განვითარების, კულტურული მშენებლობის შესანიშნავი პერსპექტივები აქვთ სიღნაღის რაიონის მშრომელებს. [illegible] ხუთწლედში რაიონისეკონომიკის შემდგომი განვითარების შესახებ [illegible] „[illegible] მეურნეობა“.

მეექვსე ხუთწლედის ბოლოს რაიონის კოლმეურნეობებში ვენახის ფართობი 2.000 ჰექტარს მიაღწევს, ხეხილის ბაღებისა — 1.970, ხოლო თუთის პლანტაციებისა — 1.885 ჰექტარს. მნიშვნელოვნად გადიდდება სმინდის, როგორც ყველაზე ძვირფასი სასურსათო და საფურაჟე კულტურის, ნათესი ფართობი. 1955 წელთან შედარებით ეს კულტურა ნაწილერალის ჩათვლით 1960 წელს 4.500 ჰექტარით მეტი დაითესება, გაზაფხულის ნათესი სმინდის მოსავალი, მარცვლად 227.500 ცენტნერს მიაღწევს.

ახალ ხუთწლედში სერიოზული ყურადღება მიექცევა მეცხოველეობის განვითარებას. 1960 წლისათვის კოლმეურნეობებში საფურაჟე ძროხის წველადობა საშუალოდ 1.620 ლიტრს მიაღწევს. მნიშვნელოვნად გაიზრდება პირუტყვის სულადობა, მატყლის, კვერცხის, ხორცის წარმოება, მკვეთრად გაუმჯობესდება პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა. შეიქმნება მტკიცე საკვები ბაზა.

საინტერესო მონაცემებია მოყვანილი სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ი. მესხიშვილის წერილში:

1960 წელს თვითეულ ჰექტარზე 1955 წელთან შედარებით მიღებულ იქნება 3 ცენტნერით მეტი ხორბალი, 10 ცენტნერით მეტი სიმინდი, 100 ცენტნერით მეტი საკვები ძირხვენები, 30 ცენტნერით მეტი ნათესი ბალახები, 10 ცენტნერით მეტი ყურძენი, 30 ცენტნერით მეტი კარტოფილი და ა. შ.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდება რაიონის კულტურული მშენებლობის დარგში. გაფართოვდება კულტურულსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, მუზეუმი, ბიბლიოთეკები შეივსება ახალი ექსპონატებით, წიგნებით, ხუთწლედის ბოლოს სიღნაღის მშრომელები მიიღებენ კულტურისა და დასვენების შესანიშნავ პარკს. რაიონში აშენდება ახალი სკოლები, სბავშვო ბაღები, ბაგები, გაიზრდება საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, საექიმო უბნების რიცხვი. მეექვსე ხუთწლედის უკანასკნელ წელს რაიონის მშრომელთა ჯანმრთელობის საქმეს მოხმარდება 4.297.465 მანეთი, ხოლო მთლიანად ხუთწლედის მანძილზე 22 მილიონი მანეთი...

გაზეთში დაბეჭდილი მასალები ნათელ წარმოდგენას იძლევიან რაიონის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე ახალ ხუთწლედში, პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვაზე მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მათი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მთლიანად დაკმაყოფილებისათვის.

XX ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲡᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. (საკ. კორ.). ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა მოაწყო პარტიის XX ყრილობის მასალებისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ამსახველი მოძრავი გამოფენა. აქ ფოტოსურათებითა და დიაგრამებით ნაჩვენებია სამრეწველო პროდუქციის ზრდა მეექვსე ხუთწლედში, აგრეთვე ელექტროფიკაციის, მანქანათმშენებლობის, საავტომობილო მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების ამსახველი მასალები. მოძრავ გამოფენაში ფართოდ არის წარმოდგენილი საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება.

გამოფენა ასახავს აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარებას მეექვსე ხუთწლედში. აქვეა ახალ ხუთწლედში ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების, მრეწველობის აღმავლობის მაჩვენებელი დიაგრამები. ექსპოზიციას ამშვენებს იმ ადამიანთა პორტრეტები, რომლებიც როგორც საკოლმეურნეო მინდვრებში, ისე საწარმოებში გმირულად იბრძვიან მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დროულად განხორციელებისათვის.

მოძრავ გამოფენას უჩვენებენ რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამრეწველო საწარმოებში.

ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ სოციალისტური საზოგადოება ისე არ განვითარდება, თუ წლიდან წლამდე არ შექმნა დაგროვება, ხოლო დაგროვებისათვის აუცილებელია კვლავწარმოების განუწყვეტელი გაფართოება.

დაგროვებისა და სოციალისტური კვლავწარმოების გაფართოების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს სახალხო მეურნეობის მთელი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირება. თვითღირებულების შემცირებით მიღებული ეკონომია ზრდის ნაციონალურ შემოსავალს, ქმნის ყველა პირობას საქონლის ფასების დაკლებისათვის და ადიდებს რეალურ ხელფასს.

ბრძოლა პროდუქციის თვითღირებულების განუწყვეტელი შემცირებისათვის სამეურნეო ხელმძღვანელობის, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ერთ-ერთი ძირითადი საბრძოლო ამოცანაა.

სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებული ეკონომია ჩვენში ყოველწლიურად იზრდება. მაგალითად, აღდგენითს პერიოდში იგი შეადგენდა 2 მილიარდ მანეთს, მეორე ხუთწლედის წლებში 19 მილიარდ მანეთს, სამამულო ომის 3½ წელში შესადარი პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ეკონომიამ მიაღწია 50 მილიარდ მანეთს, ხოლო 1946-1950 წლებში პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ეკონომიის საერთო თანხამ 160 მილიარდ მანეთს გადააჭარბა.

1931 წელს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების 1 პროცენტი იძლეოდა ეკონომიას 150-200 მილიონ მანეთს, 1940 წელს 1,8 მილიარდი მანეთის რაოდენობით, 1950 წელს — 4 მილიარდ მანეთს, 1955 წელს კი პროდუქციის თვითღირებულების 1 პროცენტით შემცირებამ შეადგინა 6,5 მილიარდი მანეთი.

თვითღირებულების შემცირება სოციალისტური მეურნეობის კანონია. ეს კანონი ხორციელდება შეგნებულად სახელმწიფო სამეურნეო გეგმის საფუძველზე და მშრომელთა თავდადებული მუშაობის შედეგად.

სოციალისტურ მრეწველობაში თვითღირებულების შემცირების საგეგმო დავალება განისაზღვრება საწარმოსთვის წარმოების გეგმის დამტკიცებასთან ერთად. თვითეული საწარმოს კოლექტივი, იბრძვის რა სახელმწიფო გეგმის ყველა მაჩვენებლით შესრულებისათვის, ამასთან ცდილობს, რომ პროდუქციის თვითღირებულება საგეგმოზე დაბალი იყოს, ვინაიდან საწარმო მხოლოდ ამ შემთხვევაში იღებს ზეგეგმითს მოგებას.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმის შესრულება მეექვსე ხუთწლედში ჩვენს ქვეყანას მისცემს ასობით მილიარდ მანეთ ეკონომიას, რომელიც მოხმარდება საზოგადოებრივი წარმოების ზრდას, უწინარეს ყოვლისა მძიმე მრეწველობის შემდგომ განვითარებას, მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებას და ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას. ამას ნათელყოფს ისიც, რომ სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების მარტო ერთი პროცენტით შემცირება 1960 წელს მოგვცემს 10 მილიარდ მანეთზე მეტ ეკონომიას.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის საქმეში საქართველოს სსრ მრეწველობამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. ყველა სამრეწველო სამინისტრომ და საწარმოთა უმრავლესობამ გადაჭარბებით შეასრულა 1955 წლის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სსრ საკურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო, სადაც პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად ზეგეგმითმა ეკონომიამ 15 მილიონ მანეთს მიაღწია. საქართველოს სსრ სამრეწველო სამინისტროებსა და უწყებებს უფრო მეტი წარმატებები ექნებოდათ, საერთო ციფრებს უკან რომ არ იმალებოდეს ცალკეული საწარმოების სერიოზული ნაკლოვანებები. მაგალითად, საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს ხაზით მოწინავე საწარმოთა გვერდით თბილისის აბრეშუმის ფაბრიკამ, მიუხედავად 1955 წლის საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა, დაუშვა პროდუქციის თვითღირებულების გადიდება 4.986 მანეთით.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში კარგ მაგალითს იძლევა თბილისის ტყავის პირველი ქარხნის კოლექტივი. ქარხანაში ახალი ტექნიკის დანერგვას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო, ძველი მანქანა-დანადგარები შეიცვალა მაღალი წარმადობის ახალი მანქანებით, მექანიზებულ იქნა შრომატევადი სამუშაოები, დაინერგა შრომის მოწინავე მეთოდები, დამყარდა სისტემატური მეთვალყურეობა ტექნოლოგიურ პროცესებზე. ტყავის დამუშავების სამფაზიანი პროგრესული მეთოდის შემოღებით მნიშვნელოვნად შემცირდა დანაკარგები. ყველა ზემოხსენებულ და მთელ რიგ სხვა ღონისძიებათა შედეგად ქარხანამ 1955 წლის საწარმოო გეგმა შეასრულა 106 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციისა — 103,4 პროცენტით, დაზოგა 108,2 ტონა საძირე ტყავი, 21 ტონა მთრიმლავი მასალა, 5,8 ტონა ცხიმეული, 5,1 ტონა მჟავა.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ძირითადი ფაქტორებია: შრომის ნაყოფიერების ამაღლება ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ბაზაზე, ნედლეულის, მასალების, სათბობის და ელექტროენერგიის ეკონომიური ხარჯვა, ნედლეულის დეფიციტური სახეების შეცვლა იაფფასიანი ნედლეულით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და წუნის მაქსიმალური შემცირება, სპეციალიზაციისა და კოოპერირების ფართოდ დანერგვა, უნაყოფო ხარჯების მაქსიმალური შემცირება, პროდუქციის არათანაბრად გამოშვების პრაქტიკის აღმოფხვრა, სამეურნეო ანგარიშის დანერგვა, საწარმოო კულტურის ამაღლება და სხვა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციების ყურადღება გაამახვილა ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის და სხვა მატერიალური რესურსების რაციონალურად ხარჯვაზე.

რესპუბლიკაში ბევრია ისეთი სამრეწველო საწარმო, რომელიც მომჭირნედ ხარჯავს ნედლეულს, მასალებს, სათბობს და ელექტროენერგიას. თბილისის ფეხსაცმლის პირველმა ფაბრიკამ შარშან პროდუქციის თვითღირებულება ნაცვლად გეგმით დაწესებული 4,8 პროცენტისა 7,5 პროცენტით შეამცირა და სამშობლოს დაახლოებით 7 მილიონი მანეთი ეკონომია მისცა. ამას ფაბრიკამ იმით მიაღწია, რომ სერიოზული ყურადღება მიაქცია ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას, შრომის ორგანიზაციის სრულყოფას, მუშების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას, წარმოების რეზერვების გამოყენებას და შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

ფაბრიკის კოლექტივის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა თავისი ნაყოფი გამოიღო: წლიური დავალება საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში 107,3 პროცენტით შესრულდა. ფაბრიკამ გეგმის გადამეტებით მისცა სახელმწიფოს 14 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია, ნატურპროდუქციის გეგმა შესრულებულ იქნა 104,1 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა შესრულდა 102,4 პროცენტით.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს სამრეწველო საწარმოების მიერ ელექტროენერგიისა და სათბობის ეფექტიანად გამოყენებას. მაგრამ ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელები ქმედით ზომებს არ იღებენ ელექტროენერგიის დაზოგვისათვის. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ 1955 წლის 9 თვის განმავლობაში 6.236 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია გადახარჯა.

უნდა ვისწავლოთ „წვრილმანების“ შეფასება, კაპიკების, გრამების, სანტიმეტრების დათვლა, ვინაიდან მათგან ჯამდება უზარმაზარი ციფრები. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა იმდენად დიდია, რომ ეკონომით მიღებული თვითეული კაპიკი, თვითეული დაზოგილი გრამი მასალა, კილოგრამი ნართი იძლევა ათეულ მილიონობით მანეთს, ათასობით ტონა ლითონს, მილიონ მეტრობით ქსოვილს და სხვ.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა, თუ ამ საქმეს კარგად მოვაწყობთ და უნარიანად წარვმართავთ, საწარმოში წუნისა და დანაკარგების ლიკვიდაციის მიღწევის, მაშასადამე, ნედლეულის რაციონალური გამოყენების და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მრავალგზის ნაცადი ხერხია.

თბილისის კერამიკულ კომბინატში 1955 წლის პირველ სამ კვარტალში პროდუქციის თვითღირებულების ზრდის თანხამ მთელ სასაქონლო პროდუქციაზე შეადგინა 49,4 პროცენტი. აქედან წუნის გამოშვების შედეგად თვითღირებულების ზრდა 41,4 პროცენტს უდრიდა. თუ ამ პროცენტებს ფულად გამოსახულებაზე გადავიყვანთ, გამოვა, რომ მარტო წუნის შედეგად კომბინატმა 2 მილიონ მანეთზე მეტი იზარალა.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოთა სპეციალიზაციასა და კოოპერირებას, რაც ხელს უწყობს ტექნიკურ პროგრესს, სამრეწველო რესურსების მიზანშეწონილად გამოყენებას.

ავიღოთ ასეთი მაგალითი: თბილისის ლოკომოტივშემკეთებელ ქარხანას საშუალოდ ყოველწლიურად სჭირდება 84 ტონა სამაგრი დეტალები (ქანჩები, ჭანჭიკები და სხვ.). ეს ქარხანა კოოპერირებული არ არის სხვა ისეთ სპეციალიზებულ საწარმოსთან, რომელიც ამ სამაგრი დეტალების გამოშვებაზე მუშაობს. ამიტომ ლოკომოტივშემკეთებლებს საკუთარ

შენიშვნები საქართველოს პავილიონის შესახებ



სურათზე: საქართველოს პავილიონის ხედი.

• • •

მოსკოვი — ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქი ახლა ყველას მიერ აღიარებულია დიადი საკაცობრიო იდეების, ახალი აღმოჩენების მსოფლიო ცენტრად, საითკენაც მოილტვიან ყველა ქვეყნის მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, რათა საკუთარი თვალით ნახონ თავისუფალი, შემოქმედებითი სიხარულით აღსავსე ცხოვრების მშენებელი ქვეყნის ადამიანთა ეს საამაყო ქალაქი.

სანახავი და ღირსშესანიშნავი კი მოსკოვში ბევრი რამ არის. მათ შორის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, იქვე სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენა.

ეს ორი გამოფენა მნახველს ნათელ წარმოდგენას აძლევს ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხების შემოქმედებითს შრომაზე, კულტურისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოპოვებულ წარმატებებზე, მრეწველობის განვითარებისა და ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში მიღწეულ მწვერვალებზე, რომლებიც მთელ მსოფლიოს აკვირვებს.

ჩვენი განზრახვა არ არის აღვწეროთ, თუ რას წარმოადგენენ ეს გამოფენები, რა მაღალმხატვრულად არიან განლაგებული და რა დიდებულ არქიტექტურულ ანსამბლებს შეადგენენ საგამოფენო ნაგებობათა კომპლექსები, როგორი ოსტატობით არის გაფორმებული თვითეული პავილიონის ფასადი და რა მოხდენილად არის ჩართული საერთო სურათში ეროვნული მოტივები.

არც იმის განზრახვა გვაქვს, რომ მოვუთხროთ მკითხველს თვითეულ პავილიონში წარმოდგენილ, ზოგჯერ მართლაც განსაცვიფრებელ ექსპონატებზე, ვუამბოთ საბჭოთა მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის, ელექტრომრეწველობის მიღწევებზე, მშვიდობიანი ცხოვრებისათვის, ადამიანის ბედნიერებისათვის ატომგულის ენერგიის გამოყენების ან მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის დარგებში, მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოებაში, მიწის წიაღის შესწავლაში მოპოვებულ წარმატებებზე. ყოველივე ამის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა.

ჩვენი მიზანია მკითხველს გავუზიაროთ ზოგიერთი შთაბეჭდილება და გავაკეთოთ რამდენიმე შენიშვნა იმის შესახებ, თუ როგორ არის წარმოდგენილი ჩვენი რესპუბლიკა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ცნობილია, რომ ეს გამოფენა საბჭოთა ხალხის მიერ კულტურისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოპოვებული წარმატებების საყოველთაო-სახალხო დათვალიერების საერთაშორისო ასპარეზს წარმოადგენს. გვაქვს თუ არა საქართველოში ისეთი მიღწევები, რომლებითაც ქართველ ხალხს შეუძლია თამამად წარსდგეს გამოფენაზე, იამაყოს თავისი შრომითი მიღწევებით და არის თუ არა ყოველივე ეს ნაჩვენები და ასახული საქართველოს პავილიონში ისე ეფექტიანად, ისე ოსტატურად როგორც საჭიროა? არის თუ არა საქართველოში ძვირფასი სუბტროპიკული, ტექნიკური კულტურების, ვაზის და ხეხილის გარდა ისეთი რამ, რითაც ამაყობენ რესპუბლიკის მშრომელები — მუშები, კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მეცნიერები და არის თუ არა მთელი სისრულით ნაჩვენები ყოველივე ეს გამოფენაზე? ბოლოს, საკითხავია, შეექმნება თუ არა საქართველოს პავილიონის დამთვალიერებელს სრული წარმოდგენა ჩვენს რესპუბლიკაზე?

არა, არ შეექმნება, თუ დამთვალიერებელმა გულდასმით და დაკვირვებით არ მოისმინა ექსკურსიამძღოლის განმარტებები. მაგრამ ვინაიდან არაორგანიზებული ექსკურსანტები, ხოლო მათი რაოდენობა არცთუ მცირეა, გრძელი საუბრების მოსმენის განწყობილებას იშვიათად იჩენენ, მათ პავილიონის ერთი დათვალიერებით რესპუბლიკაზე სრული შთაბეჭდილება არ შეექმნებათ.

ზოგი სხვა რესპუბლიკის პავილიონებში, სადაც ამ საქმეს უფრო მოფიქრებით და, ეტყობა, განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობით მისდგომიან (ამას ცხადყოფს საგამოფენო ექსპონატების უნარიანად მოწყობილი ექსპოზიცია), ექსკურსანტი ერთი გავლით იღებს სრულ შთაბეჭდილებას, პავილიონში შესვლისთანავე გარემოსილია ამ რესპუბლიკის დამახასიათებელი თავისებურებით. ასეა მოწყობილი საქმე, მაგალითად, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, უკრაინის, ბელორუსიის და მთელ რიგ სხვა პავილიონებში.

შეხვალ კაცი ასეთ პავილიონში, ნახავ რელიეფურ რუკას, რომელზეც ასახულია ამ რესპუბლიკის მთელი ხახე. რუკაზე აინთება ერთი ფერის მიკროსკოპული ნათურები — ეს ელექტროსადგურებია. ახლა სხვა ფერის ნათურები აინთება — ეს სამთამადნო სამრეწველო ცენტრებია, შემდეგ სხვა ფერთა ნათურები სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შესახებ გვაძლევენ წარმოდგენას და, შემობრუნდება თუ არა ექსკურსანტი, იქვე ნახავს წიაღისეულის იმ ნიმუშებს, რომელთა მოპოვების ადგილები რუკაზე დაინახა.

რას აძლევს რესპუბლიკა საბჭოთა ხალხს? — ასეთი წარწერა აქვს გაკეთებული დიდ სტენდს და აქ ექსკურსანტი ნახავს სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული წარმოების ყოველგვარ ნაკეთობას — ფართო მოხმარების საქონლის, მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის პროდუქციის ნიმუშებს. რა დონეზეა რესპუბლიკაში დაყენებული სახალხო განათლება, კერძოდ, უმაღლესი განათლება, რამდენ სპეციალისტს იღებს საამრეველო ყოველწლიურად ამ რესპუბლიკიდან, რამდენი თეატრია, რამდენი კულტურის სასახლე, კლუბი, კულტურისა და დასვენების პარკი? ყოველივე ამის შესახებ დამთვალიერებელი ექსკურსიამძღოლის დაუხმარებლადაც სრულ წარმოდგენას შეიმუშავებს ოღონდ... არა ჩვენი რესპუბლიკის პავილიონში.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა, სახელდობრ, მსუბუქი მრეწველობა საქართველოს პავილიონში წარმოდგენილია ისე მოკრძალებით, რომ თუ ძალიან დაინტერესებული ექსკურსანტი არ იქნა, მას ვერც შეამჩნევს. მთელ საბჭოთა კავშირშია განთქმული თბილისური წარმოების ქალის ფეხსაცმელი, კერძოდ მოდელური წარმოების ფეხსაცმელი. გამოფენაზე მიმსვლელი ამას ფართო ასორტიმენტით ვერ ნახავს. რესპუბლიკის საფეიქრო ფაბრიკები ახალი ასორტიმენტის ქსოვილებს უშვებენ, გამოფენაზე კი სამი-ოთხი წლის წინათ გამოშვებული ქსოვილების ნიმუშები ჩანს.

არსებობს თუ არა საქართველოში ქვანახშირის მრეწველობა, გამოფენის დამთვალიერებელი ამას ვერ გაიგებს. რა მისცა საქართველოს მოსახლეობას კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ — მძლავრი მრეწველობა, ტექნიკის უახლეს მიღწევათა შესაბამისად მოწყობილი ტრანსპორტი, უმაღლესი სასწავლებლების ფართო ქსელი, საუკეთესო ჰიდროელექტროსადგურები, ჩაი და ციტრუსები, მათივე გადასამუშავებელი მძლავრი ფაბრიკები, კომბინატები და სათანადო მანქანათმშენებელი ქარხნები. ძველი, აგრარულ-ფეოდალური საქართველოს მიწაწყალზე მოკლე ისტორიულ პერიოდში აღმოცენდა ახალი გიგანტები, შეიქმნა და გაშენდა ახალი ქალაქები. სოფლები დაბებად გადაიქცნენ, დაბები ქალაქებად, რესპუბლიკა სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ და ხალხის შემოქმედებითი შრომით ძლიერი საქართველო მხარგაშლილად ჩადგა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების რიგში. რესპუბლიკის ეს ზრდა ასახული უნდა იყოს პავილიონის სტენდებზე.

ძველებურად არის გაკეთებული თბილისისა და ჭიათურის დიორამები. თბილისის დიორამას „ზურგიდან" დაჰყურებს მნახველი, თუმცა შეიძლებოდა მისი შებრუნება, თბილისის დამამშვენებელი მთაწმინდის, ფუნიკულორისა და კოჯრის სერის დინამიკურად ჩვენება. შეიძლებოდა ფუნიკულორის ვაგონების მოძრაობის, ნავთლულისა და თბილისის მთავარ ვაგზლებს შორის მატარებლების მოძრაობის დემონსტრაცია ისე, როგორც ეს სხვა პავილიონებშია ნაჩვენები. სამწუხაროდ, ექსკურსანტები ხშირად ჩვენს პავილიონში ვერც ამ სტატიკურ დიორამებს ნახულობენ, რადგან ხან ერთი დიორამაა ჩამქრალი, ხან მეორე, ხოლო ზოგჯერ ყველა ერთად.

ორიოდე სიტყვა შინამრეწველური წარმოების შესახებ. საქართველოში შინამრეწველობა დაბალ დონეზე როდი დგას. ამას ადასტურებს მრავალი დოკუმენტი, ნივთი და ნაკეთობა, ხალხური შემოქმედების სახლის მთელი მუშაობა. სხვა პავილიონებში შეხვედებით ხალხური შემოქმედების შინამრეწველურ ნაწარმს, ხოლო საქართველოს პავილიონში ეს დარგი არასაკმაოდ არის წარმოდგენილი.

საქართველო კურორტების რესპუბლიკაა. არც ერთი ჩვენი კურორტი არ არის ნაჩვენები ისე, რომ მნახველს იქ წასვლისა და დასვენების სურვილი აღეძრას. რომელიც გნებავთ ქვეყნის საუკეთესო კურორტებს გაუწევდნენ ღირსეულ მეტოქეობას ჩვენი ბორჯომი, ბახმარო, ბაკურიანი, შოვი და მრავალი სხვა. ჩამქრალი დიაპოზიტივებით მათი ჩვენება არ კმარა. ყოველშემთხვევაში, საჭიროა საბჭოთა ადამიანებმა და ყველამ, ვინც გამოფენას ათვალიერებს, იცოდეს რას წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკა და რა წვლილი შეაქვთ საქართველოს მშრომელებს საერთო-საკავშირო საგანძურში.

ყოველივე ამით იმის თქმა როდი გვინდა, თითქოს საქართველოს პავილიონი ყველაზე უფერული იყოს. ასეთი რომ ყოფილიყო, მას მნახველთა განუწყვეტელი ნაკადები არ ეყოლებოდა. ჩვენ იმას აღვნიშნავთ, რომ შეიძლებოდა ამ პავილიონის უკეთესად მოწყობა, ექსპოზიციის გადახალისება.

პავილიონის, როგორც საგამოფენო ნაგებობის, შესახებ შენიშვნის გაკეთება ზედმეტად მიგვაჩნია, მაგრამ რატომ არ შეიძლებოდა წინა კოლონადებიანი შესავალი აივნის ფართობის გამოყენება, იქ ჩვენში დამზადებული და გაკეთებული ზოგი ნაკეთობის, მანქანის და აპარატის (მეღვინეობის, ჩაის მრეწველობის, აბრეშუმის ძაფსაღები დანადგარების, საქსოვი მანქანის და ა. შ.) გამოტანა!

რატომ არ უნდა შეიძლებოდეს, რომ ჩვენს პავილიონშიც შეიძინოს მნახველმა ჩვენებური ნაწარმოები სუვენირი, რატომ არ უნდა იყოს აქ ნაჩვენები ჩვენი ეროვნული ჩაცმულობა ისევე შერჩეულად, როგორც ზოგ სხვა პავილიონშია.

ცუდი არ იქნებოდა, თუ ამ შენიშვნებს მხედველობაში მიიღებდნენ ისინი, ვისზეც დამოკიდებულია სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს პავილიონის ექსპოზიციის გადახალისების საქმე.

ზ. ჯამასკიშვილი.
დ. ლომთაძე.

• • •

მოსკოვი. 1956 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. სურათზე: საქართველოს სსრ პავილიონი. აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის სტენდთან. 1955 წელს ამ სასოფლო-სამეურნეო არტელში 163,6 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფეს 6.462 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ფოტო ე. ევზერიხინისა (საკავშირო ფოტოქრონიკა)

ცაგერის რაიონში

დაბის კეთილმოწყობა

დიდი მუშაობა მიმდინარეობს დაბის ქუჩების კეთილმოსაწყობად. 7 ათას კვადრატულ მეტრზე იგება ასფალტი, წესრიგზე მოჰყავთ წყალგამტარი არხები. ქუჩებში დაიდგმება 20 ახალი ლამპიონი. გაზონებსა და ბაღებში დაირგო 1.200 მწვანე ბუჩქი და 400-ზე მეტი ცაცხვი. ქუჩების კეთილმოწყობაზე წელს ნახევარი მილიონი მანეთი დაიხარჯება.

ახალი სასოფლო ბიბლიოთეკები

წელს რაიონის ბიბლიოთეკების შესავსებად შეძენილია 14.222 მანეთის მხატვრული, პოლიტიკური და სხვა ლიტერატურა. ლაცოჩინისა და წილამიერის კოლმეურნეობებში გაიხსნა ახალი სასოფლო ბიბლიოთეკები, რომლებსაც ორი ათასზე მეტი წიგნი გადაეცა. ბიბლიოთეკების გამგეებად სპეციალურ სახწავლებელთა კურსდამთავრებულები მუშაობენ.

ბინები პირუტყვისათვის

ცაგერის, უსახელოსა და ორბელის კოლმეურნეობებმა წელს ააგეს ტიპური სადგომები 87 სული მსხვილფეხა პირუტყვისათვის, ხოლო ლაცოჩინის კოლმეურნეობამ — 69 სულისათვის. ცხუკურეშიხა და ლაილაშის კოლმეურნეობებში ააგეს ახალი საღორეები, ლაჯანისა და ზუბის კოლმეურნეობებში — საფრინველეები.

ხიდი მდინარე ცხენისწყალზე

სოფელ ოყურეშში მდინარე ცხენისწყალზე წელს დაიწყო და ახლო მომავალში დამთავრდება ახალი ხიდის მშენებლობა. ხიდი გათვალისწინებულია ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობისათვის. მასთან ერთად დამთავრდება სოფელ ოყურეშამდე ახალი სამანქანო გზის გაყვანა.

ზენდეგა სტადიონი

რაიონის ცენტრში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ახალი სტადიონის მშენებლობა. სტადიონს ექნება ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის და სხვა მოედნები, მოეწყობა ხარბენი ბილიკები და სხვ. ტრიბუნებს ექნება ათასზე მეტი დასაჯდომი ადგილი.

მუშათა სასადილო

ლაჯანურჰესის მშენებლებისათვის რაიონის ცენტრში გაიხსნა ახალი კეთილმოწყობილი სასადილო, სადაც ერთდროულად შეიძლება ასამდე მომხმარებელმა ისადილოს.

ა. ბეშიძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

მოსწავლეები ეხმარებიან კოლმეურნეობებს

ცხაკაია. (საკ. კორ.). კოტიანეთის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეები სწავლისაგან თავისუფალ დროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში უვლიან ფერმის პირუტყვს. ბევრი მათგანი შარშან სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო, წელს მათ მიზნად დაისახეს მიეღოთ აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი. მოსწავლეებმა ზ. მაისაიამ, გ. ბელქანიამ, მ. ჭანტურიამ, ლ. ხუხიამ და სხვებმა გამოკვებეს 10 გრამი აბრეშუმის ჭია და სახელმწიფოს ჩააბარეს 50 კილოგრამი პარკი, რაც ბევრად აღემატება გეგმით გათვალისწინებულს.

მოსწავლეებს შრომის ჩვევებს უნერგავენ სკოლის დირექტორი, გამოფენის მონაწილე ი. მიქაძე, ბიოლოგიის მასწავლებელი ლ. ტაბაღუა და სხვები.

თბილისელი რკინიგზელები პირველობისათვის იბრძვიან

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების კოლექტივმა რკინიგზელის საკავშირო დღისათვის ბრძოლაში მრავალ წარმატებას მიაღწია და გზის სხვა განყოფილებებთან შეჯიბრებაში საამაყო მაჩვენებლები მოიპოვა.

განვლილ ექვს თვეში განყოფილების კოლექტივმა ვაგონების დატვირთვის გეგმა 102,3 პროცენტით შეასრულა და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დატვირთვა გაადიდა 16,9 პროცენტით, ამასთან ვაგონების ბრუნვა დაიჩქარა 5,5 საათით (ნაცვლად შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებისა — დაჩქარებინა 0,5 საათით). ელექტრომავალთა საშუალო სადღეღამისო გარბენის დავალება შესრულებულია 355 კილომეტრით (ნორმა 345 კილომეტრია), ხოლო ორთქლმავლების გარბენის დავალება — 237 კილომეტრით (ნორმა 228 კილომეტრია). ამრიგად, ელექტრომავლების სადღეღამისო გარბენა გადიდებულია 10 კილომეტრით, ხოლო ორთქლმავლებისა — 9 კილომეტრით.

საგრძნობი გადაჭარბებით არის შესრულებული უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ტვირთების — ნავთობპროდუქტების, შავი ლითონების, ლითონის ჯართის, მადნის, შეშის დატვირთვა-გადაზიდვის გეგმები. მაგალითად, შაქრის დატვირთვის გეგმა შესრულებულია 174 პროცენტით, ტრაქტორებისა — 180 პროცენტით, ხეტყის მასალისა — 115 პროცენტით, კონსერვისა — 120 პროცენტით და ა. შ. მოძრავი შემადგენლობის ბრუნვის დაჩქარების, აგრეთვე სატვირთო ოპერაციებისათვის ვაგონების გაცდენის შემცირების შედეგად ვაგონების ბრუნვა დღეღამეში საშუალოდ 6,5 საათით არის დაჩქარებული.

დატვირთვა-გადმოტვირთვის დაჩქარების, აგრეთვე მოძრავი შემადგენლობის ბრუნვის გაუმჯობესების საშუალებით ახლა თბილისის განყოფილების რკინიგზელები ყოველ დღეღამეში, როგორც დამატებითს რეზერვს გეგმის გადამეტებით ათავისუფლებენ დასატვირთავად 140 ვაგონს და გადმოსატვირთავად აყენებენ 116 ვაგონს.

ენთუზიაზმით მუშაობენ თბილისელი მძიმეწონოსანი მემანქანეები, რომელთა რიგებს ყოველდღე ახალი ადამიანები ემატებიან. მძიმეწონოსანთა მოძრაობა თანდათან ფართოვდება და ეს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებს იმის საშუალებას აძლევს, რომ ნაკლები რაოდენობის ლოკომოტივებით მეტი სახელმწიფო ტვირთი გადაზიდონ. განვლილ ექვს თვეში თბილისელმა მძიმეწონოსანმა მემანქანეებმა გადაიყვანეს 14,4 პროცენტით მეტი მძიმეწონის მატარებელი, ვიდრე 1955 წლის შესაბამის თვეებში, და ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 1.171 ათასი ტონა ტვირთი. შემოქმედებითი მუშაობით, მძიმე წონის მატარებელთა ტარებაში მაღალი ოსტატობით გამოირჩევიან სახელოვანი მძიმეწონოსანი მემანქანეები ს. პარკოსაძე, გ. ჩახუნაშვილი, ო. ლიკლიკაძე, მოძრაობის დისპეტჩერები ნ. ოზეროვი, ე. შენგელია, გ. ხიტირია, წევის დისპეტჩერები პ. ანდღულაძე, გ. ფერაძე, მატარებელთა შემდგენლები ს. ჯანჯალაშვილი, ი. მატვეევკო, კონდუქტორები, მელიანდაგეები, სიგნალიზაციის-დარგის მუშაკები და სხვ.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თბილისელი რკინიგზელების მუშაობას დიდად უშლიან ხელს რკინიგზის ადგილობრივი კლიენტები. სულ თბილისის განყოფილების რკინიგზელები მომსახურებას უწევენ 400-მდე კლიენტს, რომელთა გაუმართავი მუშაობით წელს პირველი 5 თვის განმავლობაში დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებისას ვაგონები ნორმის გადამეტებით გაცდა 560.433 საათის განმავლობაში. სხვა სიტყვაა, რომ ამის გამო კლიენტებმა რკინიგზის თბილისის განყოფილებას გადაუხადეს ჯარიმა 1.964.000 მანეთი. ეს ჯარიმა ოდნავაც ვერ უნაზღაურებს სახელმწიფოს და სახალხო მეურნეობას იმ ზარალს, რომელიც ვაგონების გაცდენას მოაქვს. კლიენტები ამ საკითხს უნდა ჩაუფიქრდნენ.

მაგალითად, ავჭალის შუშის ქარხნის ხელმძღვანელთა მოუქნელობის შედეგად 5 თვეში ვაგონების ზენორმატიულმა გაცდენამ 1.807 საათი ანუ 75 დღეღამეზე მეტი შეადგინა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ერთ დღეღამეში ერთი ვაგონი სახელმწიფოს მრავალი ასი მანეთი უღირს, გამოვა, რომ ამ ქარხნის ხელმძღვანელთა მიერ რკინიგზის უწყებისათვის გადახდილმა ჯარიმამ, 13.300 მანეთმა მესამედი ზარალიც ვერ დაფარა.

ასევე ცუდად მუშობენ სხვა კლიენტები — ბორჯომის წყლის ჩამომსხმელი ქარხანა, თბილისის საბჭოს ასფალტ-ბეტონის ქარხანა, თბილისის ნავთობბაზა, თბილისის ავტომობილშემკეთებელი ქარხანა, სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა და სხვ.

იმის საუკეთესო მაგალითს, თუ როგორ უწყობს ხელს საწარმოო დავალებათა შესრულების საქმეს სოციალისტური შეჯიბრების კარგად მოწყობა, წარმოადგენს თბილისის სატვირთო სადგურის კოლექტივის მუშაობა. ამ სადგურის კოლექტივი გამოვიდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე რკინიგზელის საკავშირო დღისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის ინიციატორად და საუკეთესო მაჩვენებლებით შეასრულა ექვსი თვის დავალებები, დატვირთვის გეგმა გაანაღდა 128,1 პროცენტით, გადმოტვირთვისა — 105,4 პროცენტით, ადგილობრივი ვაგონების მოცდენა შეამცირა 2,6 საათით, სატრანზიტო ვაგონებისა — 2,8 საათით.

კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს აგრეთვე ნავთლუღის დამხარისხებელი სადგურის, თბილისის საორთქლმავლო და საელმავლო დეპოების კოლექტივებმა.

თბილისის განყოფილების საწარმოთა და სამეურნეო ერთეულთაგან რკინიგზელის დღისათვის მზადებაში გამოირჩევიან ხაშურის, ნავთლუღის, თბილისის სალიანდაგო დისტანციების, თბილისისა და ხაშურის სავაგონო უბნებისა და დეპოების, ნავთლუღისა და თბილისის კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის დისტანციების, რუსთავის, ხაშურის და თბილისის სამგზავრო სადგურთა კოლექტივები.

ვ. ჯაიანი,
ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მთავარი ინჟინერი.

უზრუნველყოთ მარცვლეული კულტურების მოსავლის დაცვა ხანძრისაგან

ბორბლისა და ქერის უხვი მოსავალია ალაზნის ველზე, საგარეჯოს, კაჭრეთის, წითელწყაროს, სიღნაღისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების მინდვრებზე.

გაითვალისწინეს რა საქმის მთელი სერიოზულობა და პასუხისმგებლობა მარცვლეული კულტურების აღების პერიოდში სახანძრო უშიშროების უზრუნველყოფისათვის, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მთელმა რიგმა ხელმძღვანელებმა დიდი მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ განეხორციელებინათ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, მოემზადებინათ მოსავლის აღებისათვის კომბაინები, ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

თელავის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში (დირექტორი ამხ. ჩხოტუა, მოხალისეთა სახანძრო რაზმეულის უფროსი ამხ. ხახნელიძე) მოსავლის აღების დაწყებამდე კომბაინებსა და ტრაქტორებს გულდასმით გაუსინჯეს ნაპერწკალმქრობები საბოლქვ მილებზე, შეაკეთეს ანთებისა და კარბიურაციის სისტემა, შეამოწმეს ელექტროსადენების დამაგრება, სათბობგამტართა მდგომარეობა და მოიმარაგეს ხანძრის საქრობი პირველადი საშუალებები.

მოსავლის აღებისას ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განსახორციელებლად ანალოგიური მუშაობა გასწიეს გარდაბნის, თელეთის, ნაფარეულის, ალაზნის მტს-ებმა, სიღნაღის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ და სხვებმა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, ყველა მტს-ში, საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში როდი ექცევა სათანადო ყურადღება ობიექტების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობას, პურის მოსავლის აღებისათვის კომბაინების, ტრაქტორებისა და ავტომანქანების მომზადებას, მოხალისეთა სახანძრო რაზმეულების ორგანიზაციასა და მუშაობას. მაგალითად, შემოწმებულ იქნა თამარისის მტს-ის (დირექტორი ამხ. ურუშაძე) „სტალინეც-6" მარკის კომბაინი (კომბაინერი — ვ. ალახვერდი, ტრაქტორისტი მ. ჰუსეინოვი). გარდა ცეცხლმქრობისა, კომბაინზე სხვა ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა არ აღმოჩნდა. კომბაინერმა და ტრაქტორისტმა არ იცოდნენ, როგორ უნდა მოიქცნენ ხანძრის შემთხვევაში. მათთან არ ჩაუტარებიათ ინსტრუქტაჟი სახანძრო უშიშროების ღონისძიებათა დაცვის შესახებ.

მარნეულის მტს-ის (დირექტორი ამხ. ბაბასიანი) კომბაინი „სტალინეც-6"-ის (კომბაინერი ს. კალაშევი, ტრაქტორისტი — პ. პურსანოვი) შემოწმებისას გამოირკვა, რომ მინდვრად გასვლის წინ არ ყოფილა შემოწმებული სათბობსადენები, ანთებისა და კარბიურაციის სისტემა, კომბაინი უზრუნველყოფილი არ იყო ხანძარსაქრობი პირველადი საშუალებებით. კომბაინერმა და ტრაქტორისტმა არც კი იცოდნენ, რა და რა ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობით უნდა იყოს უზრუნველყოფილი მათი აგრეგატი.

როგორ მოემზადა მოსავლის აღების კამპანიისათვის სიღნაღის რაიონის ტიბაანის მტს-ი? სახელოსნოების დამხმარე სათავსებში, საწყობებში ელექტრომეურნეობა ხანძრის მხრივ სახიფათო მდგომარეობაშია. მტს-ში არის სახანძრო მოტოტუმბო. მტს-ის დირექტორს ბრძანება გაუცია მოეხსნათ მისთვის ახალი საბურავები და გაეკეთებინათ ძველი, უვარგისი. ხანძრის შემთხვევაში მოტოტუმბოს წაყვანა უკვე შეუძლებელია, საჭირო გახდება ხელით აწევა, ის კი ნახევარ ტონაზე მეტს იწონის. უფრო მეტიც. როცა მოტოტუმბო გასინჯეს და სცადეს აემუშავებინათ, იგი უწესივრო მდგომარეობაში აღმოჩნდა. მტს-ის დირექტორს არც კი მიუქცევია ყურადღება იმისათვის, რომ მოტოტუმბოს შეკეთება ესაჭიროება.

ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები ცუდად ჩაატარეს თელავის რაიონის სოფელ წინანდლის სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობამ (გამგეობის თავმჯდომარე ამხ. მესხიშვილი), თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალის მარაძის სახელობის კოლმეურნეობამ (გამგეობის თავმჯდომარე ამხ. მუსაილოვი).

ზოგიერთ მტს-სა და კოლმეურნეობაში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებისაღმი გულგრილმა დამოკიდებულებამ სავალალო შედეგი გამოიღო. მაგალითად, წითელწყაროს რაიონის სოფელ წითელ სამბოლოს მიქოიანის და გარეუბნის რაიონის სოფელ მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობების პურის ყანებში იყო ხანძრის შემთხვევები.

1956 წლის მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღებისათვის სხვა ღონისძიებებთან ერთად აუცილებელია სერიოზული ყურადღება მივაქციოთ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა დაცვასა და განხორციელებას. საჭიროა აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები, რომლებსაც შეუძლია ხანძრის გამოწვევა.

პოლკოვნიკი **ვ. ბარამიძე.**
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს იოსიპ ბროზ ტიტოს ზეიმით გადაეცა თვითმფრინავი „ილ-14“

ბელგრადი, 10 ივლისი. (საკდესი). დღეს ბატაინიცის აეროდრომზე ბელგრადის ახლოს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს იოსიპ ბროზ ტიტოს ზეიმით გადაეცა თვითმფრინავი „ილ-14“ — საბჭოთა კავშირის მთავრობის საჩუქარი.

აეროდრომზე თვითმფრინავის მისაღებად მოვიდა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო. დაესწრნენ მაკედონიის სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარე, მაკედონიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლაზარ კოლიშევსკი, ჩერნოგორიის სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარე, ჩერნოგორიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბლაკო ივანოვიჩი და სხვა იუგოსლავი მოღვაწეები.

თვითმფრინავი პრეზიდენტს გადასცა სსრ კავშირის ელჩმა იუგოსლავიაში ნ. პ. ფირიუბინმა.

გთხოვთ საბჭოთა მთავრობის ეს საჩუქარი მიიღოთ, თქვა ნ. პ. ფირიუბინმა, როგორც ნიშანი ღრმა პატივისცემისა იუგოსლავიის ხალხებისადმი და პირადად თქვენდამი — იუგოსლავიის გამოჩენილი მოღვაწისადმი.

მიიღო რა თვითმფრინავი, პრეზიდენტმა ტიტომ განაცხადა:

ამხანაგო საბჭოთა კავშირის ელჩო, მე დიდად კმაყოფილი ვარ თქვენი მთავრობის ამ საუცხოო საჩუქრით. გთხოვთ გადასცეთ საბჭოთა მთავრობას, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დიდი მადლობა ამ საჩუქრისათვის ჩვენი მეგობრობის ნიშნად.

ეგვიპტეში გაიხსნა სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობა

კაირო, 11 ივლისი. (საკდესი). 10 ივლისს ეგვიპტის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, რომელიც ეგვიპტის რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის თავმჯდომარეობით გაიმართა, მოიწონა ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წარდგენილი და საბჭოთა მხარესთან შეთანხმებული ტექსტი ოქმისა იმის შესახებ, რომ ეგვიპტეში დაარსდეს სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობა.

გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობაში აღნიშნულია, რომ ეგვიპტეში საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის დაარსების მიზანია სავაჭრო ურთიერთობის შემდგომი განვითარება ორ ქვეყანას შორის.

ინდოეთის პირველი გემი მოდის სსრ კავშირის ნავსადგურებში

დელი, 11 ივლისი. (საკდესი). გაზეთ „ჰინდუსტან ტაიმსის“ ცნობით, დღეს ვისაკჰაპატნამის ნავსადგურიდან გადის გემი „ბჰარატ რანი“ —ინდოეთის პირველი გემი, რომელიც მიდის საბჭოთა კავშირის ნავსადგურებში ნაოსნობის შესახებ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის შეთანხმების შესაბამისად.

გემი საბჭოთა კავშირში ჩაიტანს რკინის მადანს.

ამერიკელი მეცნიერი საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ

ნიუ-იორკი, 12 ივლისი. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი სოლსბერი წერს, რომ დოქტორ ბოზორტზე, რომელიც ამას წინათ საბჭოთა კავშირში იყო, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფიზიკის დარგში საბჭოთა კავშირის გამოკვლევებმა. ბოზორტი შეეხო მის მიერ მოსკოვის უნივერსიტეტის დათვალიერებას და განაცხადა: „მათ ძლიერ კარგი აპარატურა აქვთ. მათ ისეთი ნივთები აქვთ, რომლებიც მსურს მქონდეს. იმედი მაქვს, რომ მოვახერხებ ზოგი რამ მივიღო აქედან. მაგრამ, როგორც ჩანს, მათს განკარგულებაში განუსაზღვრელი ფინანსური სახსრებია“.

ბოზორტმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მეცნიერები მზად არიან ფართო პირადი და მეცნიერული ურთიერთობა დაამყარონ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების მეცნიერებთან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში

ნიუ-იორკი, 11 ივლისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის გუშინდელ სხდომაზე პირველი გამოვიდა საფრანგეთის წარმომადგენელი მოკი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეთანხმება საბჭოთა კავშირს წარმომადგენლის განცხადებას იმ მძიმე შედეგების შესახებ, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს შემდგომ გამალებულ შეიარაღებას. ამავე დროს იგი შეეცადა გაემართლებინა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიცია, რომელიც ფაქტიურად გამოიხატება განიარაღების პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებაზე უარის თქმით.

შეეხო რა წინადადებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა ქვეკომიტეტის ამასწინანდელი მუშაობის დროს ლონდონში, მოკმა განაცხადა, რომ ამ წინადადებებში თითქოს არის „შეცდომა“, რომელიც მდგომარეობს ჩვეულებრივი შეიარაღებისა და ატომური იარაღის საკითხთა ცალცალკე განხილვაში. განიარაღების საკითხის განხილვისადმი ასეთი მიდგომა, მოკის აზრით, „რისკია“ იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც არა აქვთ ატომური იარაღი. ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღება თითქოს „სარისკოა“, რამდენადაც ეს გაახანგრძლივებდა უთანხმოებას განიარაღების საკითხის იმ ნაწილში, რომელიც ატომგულის იარაღს შეეხება.

ამავე დროს კარგად ცნობილია, რომ სწორედ სახელმწიფოთა პოზიციების სერიოზული განსხვავება ატომური იარაღის საკითხში ხელს უშლიდა შეთანხმების მიღწევას ჩვეულებრივი შეიარაღების საკითხზე, რამდენადაც ამ ორივე საკითხს ერთ კვანძად აერთებდნენ და შეუძლებელი იყო შეთანხმების მიღწევა ერთ-ერთ მათგანზე, თუ მიღწეული არ იქნებოდა შეთანხმება მეორე საკითხზე. ასეთ ვითარებაში საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა წინადადება ამ ორი საკითხის გადაჭრა ერთ საკითხად არ იქნას დაკავშირებული და ამ გზით წინ იქნას წაწეული განიარაღების პრობლემის გადაჭრა.

აგრეთვე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების წინააღმდეგ მოკი ამტკიცებდა, თითქოს დასავლეთის სახელმწიფოებს არ დაუჭერიათ უკან თავიანთი წინანდელი პოზიციებიდან ხუთი დიდი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების დონის დაწესების საკითხში, არამედ მხოლოდ „დაახუსტეს“ თავიანთი წინანდელი წინადადებანი.

ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს თავისი შეიარაღებული ძალების შემცირების დარგში, მოკი, მიუხედავად ამისა, შეუერთდა დასავლეთის ქვეყნების სხვა წარმომადგენლთა განცხადებებს იმის შესახებ, რომ თითქოს ცალკეული ქვეყნების მიერ შეიარაღებული ძალების შემცირება, თუ არ არის საერთაშორისო კონტროლი, ნაწილობრივაც ვერ შეუწყობს ხელს განიარაღების საკითხის გადაჭრას.

ბელგიის წარმომადგენელმა ნისომ განაცხადა, რომ თუ დიდ სახელმწიფოებს შორის არ იქნა მიღწეული შეთანხმება, სავსებით შეუძლებელია განიარაღების პრობლემის გადაჭრა. ისევე როგორც დასავლეთის სახელმწიფოთა სხვა წარმომადგენლებმა. ბელგიის დელეგატმა მხარი დაუჭირა საპაერო დაზვერვის ამერიკულ გეგმას. მან განაცხადა, რომ განიარაღების საკითხის გადაჭრა უნდა განხორციელდეს უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პოლიტიკური პრობლემების მოწესრიგებასთან ერთად. ბელგიის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა დასავლეთის ოთხი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტს, რომელიც წარდგენილია განიარაღების კომისიის განსახილველად.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა თავის გამოსვლაში უკმაყოფილება გამოთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის მუშაობისა და დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციის შეფასების გამო, რაც მოცემული იყო საბჭოთა წარმომადგენლის სიტყვაში წინა სხდომაზე. მას აგრეთვე არ მოეწონა საბჭოთა შეფასება ამერიკის წინადადებისა საჰაერო დაზვერვის შესახებ, რომელსაც, როგორც ეს ცნობილია, განიარაღების საკითხთან საერთო არა აქვს რა.

ინგლისის წარმომადგენელმა ნატინგმა თავის გამოსვლაში ვრცლად ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა მიღწეულ იქნას შეთანხმება განიარაღების საკითხზე. ჩვენ ვერასოდეს ვერ მივაღწევთ შეთანხმებას, თქვა ნატინგმა, თუ განვაგრძობთ ჩვენი წინანდელი წინადადებების დაყენებით დაცვას და არ შევეცდებით კომპრომისის მიღწევას. მაგრამ ნატინგის მთელი შემდგომი გამოსვლა ადასტურებდა იმას, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს, დ კერძოდ ინგლისს, უარყოფენ რა თავიანთ საკუთარ პოზიციებს, რომლებსაც დაეთანხმა საბჭოთა კავშირი, არ სურთ მიაღწიონ შეთანხმებას განიარაღების საკითხებზე. აღიარა რა, რომ საბჭოთა კავშირის პოზიცია განიარაღების საკითხის განხილვის სხვადასხვა სტადიაზე იცვლებოდა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციასთან დაახლოებით მჩმართულებით, ნატინგმა ამით უნებლიეთ დაადასტურა, რომ სწორედ საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება განიარაღების საკითხზე და ამ შეთანხმების შესრულებისადმი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესების საკითხზე.

ნატინგმა განაცხადა, რომ ინგლისი მზად არის ახლანდელ სტადიაზე განიხილოს საკითხი შეთანხმებისა განიარაღების შეზღუდული პროგრამის შესახებ, რომლის შესრულება, როგორც მან თქვა, შეიძლება დაუყოვნებლივ დაიწყოს. ამ პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს ნატინგი მიაკუთვნებს, კერძოდ, ატომგულის იარაღის გამოცდის შეზღუდვას. ამ მიმართულებით ნატინგმა შეიტანა დაზუსტება დასავლეთის ოთხი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტის მე-3 პარაგრაფში.

ავსტრალიის, კუბისა და პერუს წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს დასავლეთის ოთხი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტს.

სხდომაზე იუგოსლავიის დელეგაციამ გაავრცელა თავისი რეზოლუციის პროექტი განიარაღების საკითხზე.

პროექტის სარეზოლუციო ნაწილში ნათქვამია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისია: „მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის წევრებს: 1. განაგრძონ თავიანთი მეცადინეობა საყოველთაო განიარაღების შესახებ შეთანხმების მისაღწევად; 2. ეცადონ, რომ რაც შეიძლება მალე იქნას შეთანხმებული და განხორციელდეს განიარაღების ისეთი თავდაპირველი ღონისძიებანი, რომლებიც ახლა შესაძლებელია, და კონტროლის ისეთი ფორმები და დონე, რომლებიც საჭიროა ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, განსაკუთრებით:

ა) ჩვეულებრივ სახეობათა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების რიცხვის შემცირების;

ბ) ატომგულის იარაღის საცდელ აფეთქებათა შეწყვეტის, აგრეთვე ატომგულის იარაღის დარგში სხვა არსებით ღონისძიებათა განხორციელების;

გ) სამხედრო ხარჯების შემცირების მხრივ“.

ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ვენა, 10 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „ეს-ტერრაიხიშე ფოლკსშტიმე“ იუწყება, რომ 7-9 ივლისს გაიმართა ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მოხსენება პოლიტბიუროს მუშაობის შესახებ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის მომენტიდან გააკეთა ფ. ჰონერმა. ფ. ფიურნბერგი გამოვიდა მოხსენებით პარტიაში დისკუსიისა და მუშათა კლასის ერთიანობის შესახებ. ი. კოლენიგმა პლენუმს მოახსენა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგები.

მოხსენებების განხილვის შემდეგ პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება მუშათა კლასის ერთიანობის საკითხზე და რეზოლუცია პარტიაში დისკუსიის შესახებ.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 12 ივლისი. (საკდესი). გუშინ საღამოს საფრანგეთის ეროვნულ კრებაში გაიმართა კენჭისყრა ევრეთფოდებული „ატომის ენერგიის ევროპის გაერთიანების“ („ევრატომის“) შექმნის პროექტის საკითხზე. როგორც ცნობილია, ეს პროექტი მკვეთრად გააკრიტიკა ბევრმა ფრანგმა საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწემ, რომლებმაც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ხსენებული „ეროვნული“ ორგანოს შექმნამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საფრანგეთის სუვერენიტეტს და შეუქმნას საძრომები დასავლეთ გერმანიის მილიტარისტებს, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ მოაწყონ ატომური იარაღის წარმოება. კომუნისტმა დეპუტატებმა და პარლამენტის ზოგიერთი სხვა ჯგუფის წარმომადგენლებმა დაგმეს „ევრატომის“ ორგანიზაციის გეგმები.

კენჭისყრის შედეგად მიღებულ იქნა სოციალისტ დეპრეს მიერ შეტანილი რეზოლუცია, რომელიც იწონებს „ევრატომის“ შექმნის პრინციპს. რეზოლუცია მოითხოვს, რომ მთავრობამ განაგრძოს მოლაპარაკება „ევრატომის“ შესახებ და გაითვალისწინოს ის დებულებანი, რომლებიც გამოთქმული იყო გი მოლეს მთავრობის დეკლარაციაში, აგრეთვე მთავრობის წევრთა სიტყვებში ახლანდელი კამათის დროს (იგულისხმება მინისტრების განცხადებანი იმის შესახებ, რომ „ევრატომში“ შესვლისას საფრანგეთი არ დაკარგავს ატომური იარაღის წარმოების თავისუფლებას).

ამ რეზოლუციას ხმა მისცა 342 დეპუტატმა, წინააღმდეგ — 183 დეპუტატმა.

ინდონეზიის პრესა გმობს ნიქსონის განცხადებას

ჯაკარტა, 12 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „ტამმს ოფ ინდონეზია“ კომენტარს უკეთებს ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ნიქსონის ამასწინანდელ გამოსვლას კარაჩში და წერს, რომ მან „გააკეთა ერთ-ერთი უაღრესად სულელური შენიშვნა“, როცა განაცხადა, რომ აზიის ყოველი ქვეყანა, რომელიც რუსეთისაგან დახმარებას იღებს, „რისკს ეწევა კისერზე გადაიცვას მარყუჟი“. გაზეთი შემდეგ აღნიშნავს, რომ ვიცე-პრეზიდენტის ეს განცხადება სირცხვილს დამართებს მას, თუ მთლიანად შეერთებულ შტატებს არა, აზიის იმ ქვეყნებში, რომლებმაც განაცხადეს, რომ მზად არიან საბჭოთა კავშირისაგან მიიღონ ეკონომიური დახმარება, რაც განპირობებული არ არის არავითარი სამხედრო და პოლიტიკური პირობით. გაზეთის სიტყვით, ნიქსონს „დაეინტერესებინა აზია სურს გაიგოს აზიის ხალხთა აზრების მსჯელობა“.

ფრანს პრესი ამერიკის შეერთებულ შტატებსა, ესპანეთსა და პორტუგალიას შორის სამხედრო მოლაპარაკების შესახებ

პარიზი, 11 ივლისი. (საკდესი). ფრანს პრესის საგაზეთოს მადრიდი კორესპონდენტი, იმოწმებს რა ავტორიტეტიან წყაროებს, იუწყება, რომ იქ ჩავიდა ამერიკის სამხედრო მისია. იგი მონაწილეობას მიიღებს ესპანეთისა და პორტუგალიის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებაში, რომელიც დღეს იწყება. კორესპონდენტის სიტყვით, მოლაპარაკება შეეხება თანამშრომლობას სტრატეგიულ გეგმებში, რომლებიც დაკავშირებულია იბერიის ნახევარკუნძულთან.

როგორც ჩანს, განაგრძობს კორესპონდენტი, საქმე ეხება ესპანეთის თავდაცვის სისტემის არაპირდაპირ შეერთებას ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის სისტემასთან, რომელშიც ესპანეთი ოფიციალურად არ შედის.

თელავი. ხაჭვაჭრობის მზატანსაცმლის ახალ სპეციალიზებულ მაღაზიაში ლენინის ქუჩაზე. ფოტო შ. გოქაძისა.

ავსტრიის სოფლის მეურნეობის სპეციალისტები საქართველოდან გაემგზავრნენ

12 ივლისს თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრა ავსტრიის სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა რამდენიმე დღეს.

სტუმრები დაინტერესდნენ რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგით. ისინი იყვნენ გურჯაანის რაიონში. აქ ერთი დღე გაატარეს სოფელ ვალისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“.

ავსტრიელი სტუმრები წავიდნენ წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში, აგრეთვე მუზროვანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დარბაზობა გამართა სტუმრების პატივსაცემად. ავსტრიის სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დელეგაციის მეთაურმა სასოფლო და სატყეო მეურნეობის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორმა რუდოლფ ლეოპოლდმა მადლობა გადაიხადა ელენთადი მიღებისათვის და აღნიშნა, რომ დელეგაციის წევრებს საბჭოთა კავშირში ყველგან მიცემული ჰქონდათ ფართო შესაძლებლობა გასცნობოდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. საქართველოში, ისევე როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, — თქვა მან, — სოფლის მეურნეობამ დიდ წარმატებებს მიაღწია და მტკიცედ მიდის შემდგომი პროგრესის გზით. (საკდესი).

უცხოელი ჯურისტები საქართველოში

რამდენიმე დღეს თბილისში სტუმრად იყო 75 ტურისტი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. მათ შორის იყვნენ მუშები, მასწავლებლები, ექიმები, ინჟინრები, მსახიობები, მხატვრები და კულტურის სხვა მუშაკები.

გერმანელი ტურისტები გაეცნენ საქართველოს დედაქალაქის ცხოვრებას, მის ღირსშესანიშნაობებს, დათვალიერეს წარსულის არქიტექტურის ძეგლები მცხეთაში, იყვნენ დიმის მევენახეობის სამეურნეოში.

გერმანელ ტურისტთა ერთი ჯგუფი დასასვენებლად გაემგზავრა ბათუმში, მეორე ჯგუფი კი მოსკოვს გაფრინდა.

11 ივლისს თბილისში ჩამოვიდა ტურისტთა ახალი ჯგუფი ამერიკის შეერთებული შტატებიდან. (საკდესი).

სსრ კავშირისა და ისრაელის ნაკრები გუნდების მატჩი

11 ივლისს მოსკოვის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მელბურნის ოლიმპიური ასპარეზობის შერჩევითი ტურნირის მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ სსრ კავშირისა და ისრაელის ნაკრები გუნდები. შეჯიბრება მოიგო სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა ანგარიშით 5:0.

ამ გუნდების მორიგი მატჩი გაიმართება ტელ-ავივში ივლისის ბოლო რიცხვებში.

პოეტ ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა

თბილისში დაიწყო პოეტ იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკის შენობის აგება. პოეტი თავის ბიბლიოთეკას უძღვნის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი იოსებ გრიშაშვილი ცნობილია არა მარტო როგორც საქართველოს ერთ-ერთი უაღრესად პოპულარული პოეტი, არამედ აგრეთვე როგორც ლიტერატურის დიდი მცოდნე და მკვლევარი. მის ბიბლიოთეკას დიდი ხნის ისტორია აქვს. 900-იან წლებში ჭაბუკმა პოეტმა დაიწყო საყვარელი წიგნების — ხალხური ლექსების, ხოლო შემდეგ ოშვიათ ნაწარმოებთა შეგროვება, რომლებიც მას სჭირდებოდა როგორც მკვლევარს. იგი წიგნებს იძენდა ძალაზიებში და კერძო პირთაგან თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადსა და სხვა ქალაქებში. მაგალითად, მოსკოვსა და ლენინგრადში მას შეუძენია პუშკინის, ლერმონტოვის, კრილოვის, დერჟავინის ნაწარმოებთა პირველი გამოცემები.

ახლა პოეტის ბიბლიოთეკაში ასობით უიშვიათესი წიგნია. მათ შორის არის 1899 წელს ვარშავაში გამოცემული „ევგენი ონეგინი“, რომლის ფორმატი არ აღემატება საფოსტო მარკის ზომას და რომელიც მხოლოდ გამადიდებელი შუშით იკითხება.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში დაცულია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ ყველა ქართული გამოცემა, რომელთაგან ყველაზე ძველი დათარიღებულია 1712 წლით, აგრეთვე რუსულ და უცხო ენებზე გამოსული ეგზემპლარები. თაროზე ვხედავთ ვინმე ციციანოვის მიერ მეფის მთავრობის დაკვეთით „შეთხზულ“ წიგნს „ნამდვილი რევიზორი, კომედია სამ დღედ ანუ მოქმედებად, რომელიც არის გაგრძელება 8-ნ გოგოლის კომედიისა „რევიზორი“. იგი დაიწერა იმ მიზნით, რომ დაეკმაყოფილებინათ გოგოლის შემოქმედების მნიშვნელობა.

ბიბლიოთეკაში, გარდა რუსული, ქართული წიგნებისა შეკრებილია სომხურ, აზერბაიჯანულ, უკრაინულ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და სხვა ენებზე გამოცემული წიგნები. ბევრი მათგანის არეები და ფირზაცები აჭრილებულია მკვლევარი პოეტის შენიშვნებით. პოეტის ბიბლიოთეკაში დადიან მეცნიერები, მკვლევარები, კრიტიკოსები, მწერლები, სტუდენტები.

იოსებ გრიშაშვილს შეგროვებული აქვს დაახლოებით 40 ათასი ტომი ლიტერატურა. იგი ამჟამადაც განაგრძობს საყვარელ საქმეს — აგროვებს როგორც ახალ, ისე ძველ გამოცემულ წიგნებს.

რედაქტორის მოადგილე რ. ქურციკიძე.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე 1956-57 სასწავლო წლისათვის მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე:

1. აგრონომია (კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი) ქართული და რუსული სექტორი, 2. მებაღეობა-მებოსტნეობა და მევენახეობა (კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი), 3. მცენარეთა დაცვა (კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი), 4. სატყეო მეურნეობა (კვალიფიკაცია — ტყის მეურნეობის ინჟინერი), ქართული და რუსული სექტორი, 5. სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესების მექანიზაცია (კვალიფიკაცია — ინჟინერ-მექანიკოსი), 6. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია (კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი ეკონომისტი).

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი განუსაზღვრელად ასაკისა, რომლებმაც დაამთავრეს სრული საშუალო სკოლა ან ჩაბარეს საშუალო სკოლის სრული კურსი ექსტერნატის წესით.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს ოქროს ან ვერცხლის მედლით, და ტექნიკუმის კურსდამთავრებულნი, რომლებსაც აქვთ დიპლომი წარჩინებით. ყველა დანარჩენი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

აგრონომიულ, მებაღეობა-მებოსტნეობისა და მცენარეთა დაცვის სპეციალობებზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ფიზიკასა და ქიმიაში.

სატყეო მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესების მექანიზაციის სპეციალობებზე დამატებით აბარებენ მათემატიკას (ზეპირი). სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობაზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), მათემატიკაში (ზეპირი), გეოგრაფიაში და სსრ კავშირის ისტორიაში.

რუსულ სექტორზე შემსვლელნი გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში არ აბარებენ.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას: ინსტიტუტის დირექტორის სახელზე ა. წ. 31 ივლისამდე სპეციალობის ზუსტი აღნიშვნით.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: ავტობიოგრაფია, საშუალო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი (დედანი). ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ) ზომით 3×4 სმ, ცნობა სამუშაო ადგილიდან სოფლის მეურნეობის წარმოებაში მუშაობის შესახებ მუშაობის სტაჟის, თანამდებობისა და სპეციალობის აღნიშვნით, დაწესებულების ხელმძღვანელის და კადრების განყოფილების უფროსის ხელმოწერით, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 268).

შენიშვნა: 1941, 1942 და 1943 წლებში გაცემული ატესტატები რეგისტრირებულ უნდა იქნას სათანადო რაიონის განათლების განყოფილებაში.

მისაღებ გამოცდები იწარმოების 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. კონსულტაციის ფილება შეიძლება ყოველდღე მიმღებ კომისიაში, გარდა კვირადღისა, დილის 12 საათიდან 5 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 33.

ДЕС
ТБИЛИСИС ТЕАТРЕБШИ

რუსთაველის სახელობის — პირველი მერცხლები, მარჯანიშვილის სახელობის —პიგმალიონი, ფილარმონიის საზაფხულო თეატრი—მოსკოვის ესტრადის მსახიობთა კონცერტი ლ. ხნიჩევისა და ე. კემპერის მონაწილეობით (9 ს.).

КИНОТЕАТРЕБШИ

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), ფილარმონიის ბაღი, ხპარტაკი, თბილისი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი, ახანი (საზამთრო), პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — გადამწყვეტი წუთები, ოქტომბერი (საზამთრო), ახანი (საზაფხულო), ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზამთრო), მილიციის სამმართველოს საზაფხულო კლუბი, კომუნარების ბაღი — აურბაური არაფრისათვის, კოლხიდა (საზამთრო), 26 კომისრის სახელობის (საზამთრო), ოფიცერთა სახლი — პირველი სიხარული, კოლმეურნე, გორკის სახელობის კულტურის სახლი — პოლიციელები და ქურდები, ამირანი (საზაფხულო) — ეიკვის მასწავლებელი, კომკავშირელი — ტრეზა რაკენი, კოლხიდა (საზაფხულო) — მზითვიანი ქორწილი, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — მოხუც აშირის ეშმაკობა, დიდუბე (საზამთრო) — მკვლელობა დანტეს ქუჩაზე, დიდუბე (საზაფხულო) — მე და ჩემი ცოლი.

მოქალაქე ანთიმოზ კონსტანტინეს-ძე ესვანჯიამ, მცხოვრებმა გრიბოედოვის ქ. № 24, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ალექსანდრა მეთოდეს ასულ ჭანტურიასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი აცხადებს მიღებას 1956-57 სასწავლო წლისათვის შემდეგ განყოფილებებზე: 1. სასკოლო განყოფილება (ამზადებს დაწყებითი კლასების მასწავლებლებს), 2. სკოლამდელი განყოფილება (ამზადებს საბავშვო ბაღის აღმზრდელებს), 3. უფროს პიონერხელმძღვანელთა განყოფილება (ამზადებს დაწყებითი კლასების მასწავლებლებსა და უფროს პიონერხელმძღვანელებს).

სწავლების ვადა ორი წელია.

პირველ კურსზე მიიღებიან ორივე სქესის მოსწავლეები 30 წლის ასაკამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ 11 კლასი.

განცხადებების მიღება 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები დაიწყება 1 აგვისტოდან.

შემსვლელები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა—თხზულება), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა—წაკითხული უცხობი მოთხრობის შინაარსი), არითმეტიკაში (ზეპირი).

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებსაც 11 კლასი დამთავრებული აქვთ ოქროს ან ვერცხლის მედლით.

სასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილ იქნებიან სტიპენდიით (საერთო წესით).

შემსვლელებმა პირადად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება (უნდა აღინიშნოს, რომელ განყოფილებაზე სურს სწავლა), საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა (ასლი), სამი ფოტოსურათი (შემოწმებული), ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა № 284), ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (ვაჟებისადვის).

მოსაღები გამოცდების დაწყებამდე მოხდება მუსიკალური შემოწმება (სმენა, რიტმი, მეხსიერება), რაც გადაწყვეტს ფრაიდოსნის უგამოცდოდ ჩარიცხვის თუ შემსვლელის მისაღებ გამოცდებზე დაშვების საკითხს.

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქ. № 31.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობათა დასაკავებლად:

1) მრეწველობის ეკონომიკის განყოფილების გამგე — 1 ადგილი;
2) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 4 ადგილი;
3) უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 2 ადგილი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა დირექტორის სახელზე უნდა შეიტანონ განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის, სამეცნიერო ხარისხის ან წოდების მინიჭების დიპლომის (ატესტაციის) პირები, დასასაბუთება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო ნაშრომების სია, რეცენზიები ამ ნაშრომებზე და მთავარი დასაბეჭდილი ნაშრომები.

კონკურსის ვადაა ერთი თვე განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14.

მეუღლე დაშა, შვილი მერაბ, და მარო იუწყებიან
ვლადიმერ დავითის-ძე ხარტიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-VII, 8 ს. გამოსვენება 14-VII, 5 ს. ფურცელაძის ქ. № 14.

შვილები შალვა, ანიკო, რძალი ლუბა, სიძე მ. ლაბაძე შვილებით იუწყებიან
პარონენ, ოსიბის-